პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 270 (10046) | კვირა, 14 ნოემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

თავისუფალი ხალხების ეკონომიური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. — „პრავდის“ 13/XI მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

ლენინგრადის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შეასრულეს (1-ლი გვერდი).

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში. — მ. ხეთაგური. — სოფლის კომუნისტების კრებაზე (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი (მე-2 გვერდი).

ვ. მებუკე. — გულისხმიერად მოვეკრიბოთ [illegible] თხოვნებს (მე-3 გვერდი).

ბ. ულღანტი. — „ლეგენდა სიყვარულზე“ [illegible] ფილეტონი. — გ. შუბიძე. — თბილისელის [illegible] (მე-3 გვერდი).

ბ. რისაკოვი. — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

თავისუფალი ხალხების ეკონომიური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუშები, გლეხები, ინტელიგენცია უდიდესი ენთუზიაზმით ახმარენ თავიანთ ძალებსა და ენერგიას სოციალიზმის მშენებლობის დიად და კეთილშობილურ საქმეს. კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძველზე წარმატებით ხორციელდება მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა.

ეკონომიკის ზრდისა და კულტურის აყვავებისათვის ბრძოლაში მტკიცდება დიდი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა.

ცხოვრება დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ თავისუფალ ხალხთა მეგობრობა და ურთიერთდახმარება იმ სახელმწიფოთა ძალისა და ძლიერების უმნიშვნელოვანესი წყაროა, რომლებიც გერთიანებული არიან სოციალიზმის მშენებლობის დიადი მიზნით. სულ უფრო მტკიცდება ძმური მეგობრობა, ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა, ფართოვდება სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ერთმანეთს შორის.

ნაყოფიერი თანამშრომლობის შესანიშნავი ნიმუშია ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. ეს ურთიერთობა, რომლითაც ორი დიდი ხალხის ურღვევი მეგობრობა გამოიხატა, აქტიურად ემსახურება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების განმტკიცების დიად საქმეს.

სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში ახალი მნიშვნელოვანი წესი ალია ამას წინათ პეკინში ხელმოწერილი შეთანხმებანი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მისცემს 520 მილიონ მანეთ გრძელვადიან კრედიტს; იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ჩინეთს დახმარებას გაუწევს დამატებით 15 სამრეწველო საწარმოს მშენებლობაში და გაუდიდებს 141 საწარმოსათვის იმ მოწყობილობის მიწოდებას, რომელიც გათვალისწინებულია წინათ ხელმოწერილი შეთანხმებით. საბჭოთა კავშირიდან ჩინეთისათვის მოწყობილობის დამატებითი მიწოდების საერთო ღირებულება 400 მილიონ მანეთზე მეტი იქნება. გარდა ამისა, ხელმოწერილია აგრეთვე შეთანხმებანი მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გამოცდილების ურთიერთგაზიარების გზით. ორი დიდი ხალხის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების კეთილშობილურ მიზნებს ემსახურებიან აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შეთანხმებანი ახალი რკინიგზის ხაზების ერთობლივად მშენებლობის შესახებ, რომლებიც უფრო მჭიდროდ დააკავშირებენ სსრ კავშირსა და ჩინეთს.

სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა ურთიერთ საქონელბრუნვა. ახლაც მსოფლიო ბაზარზე, რომლის მონაწილენი არიან საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, არ იცის, რა არის გასაღების სიძნელენი, ახალი მსოფლიო ბაზრის ტევადობა დიდდება ამ ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკის ზრდასთან ერთად. ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1953 წელს 2,3-ჯერ აღემატებოდა 1948 წლის დონეს. მსოფლიო დემოკრატიულ ბაზარზე ნაყოფიერი თანამშრომლობა ეხმარება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს განახორციელონ სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის თავიანთი გეგმები, გააუმჯობესონ მშრომელთა კეთილდღეობა.

ემყარება რა მძლავრ, დიდად განვითარებულ სამეურნეო ეკონომიკას, სსრ კავშირი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს აწვდის სამრეწველო ნედლეულსა და უახლეს თანამედროვე მოწყობილობას მრეწველობის ბევრი დარგისათვის, მათ შორის მოწყობილობას მსხვილი სამრეწველო ობიექტების — მეტალურგიული კომბინატების, შახტების, ელექტროსადგურების, მანქანათშენებელი ქარხნების აღჭურვისათვის. მარტო 1953 წელს საბჭოთა კავშირმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს მიაწოდა 800 მილიონი მანეთის მანქანები და მოწყობილობა.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან იღებს თავისი ეკონომიური განვითარებისა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის მნიშვნელოვან სხვადასხვა საქონელს.

თავისუფალ ხალხთა ეკონომიური თანამშრომლობა ქმნის იმის ახალ, ჯერ კიდევ გამოუყენებელ შესაძლებლობებს, რომ სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა მოწყობილობა, ნედლეულისა და სურსათის რესურსები ყველაზე რაციონალურად იქნას გამოყენებული საწარმოო ძალების უსწრაფესი აღმავლობის ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები დაუცხრომლად ზრუნავენ ურთიერთ ეკონომიური თანამშრომლობის განუწყვეტელი განვითარების, ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს პრესაში უკანასკნელ დროს გამოქვეყნებული იყო ცნობები, რომ სსრ კავშირის მთავრობამ გადასცა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირ-უნგრეთის შერეულ საზოგადოებებში მონაწილეობის თავისი წილი.

თავის დროზე შექმნილმა ამ საზოგადოებებმა დადებითი როლი შეასრულეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიურ განვითარებაში. შერეულ საზოგადოებათა საქმიანობის დროს ამ საზოგადოებებში დაბანდებული იყო დიდი კაპიტალები, ამასთან საბჭოთა კავშირმა თავისი შესატანების ანგარიშში მიაწოდა თანამედროვე მოწყობილობა და ყველა საჭირო მასალა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა საზოგადოებათა საწარმოების სიმძლავრეები და ამაღლდა მათი საერთო ტექნიკური დონე.

შერეულ საზოგადოებათა საქმიანობის განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე ტექნიკური დახმარება, რაც საბჭოთა ორგანიზაციებმა გაუწიეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემით და საზოგადოებათა საწარმოებში სამუშაოდ ამ ქვეყნებში სპეციალისტების მიგზავნებით. ახლა, როცა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში აღიზარდნენ საკუთარი სამეურნეო კადრები, რომლებსაც თვითონ შეუძლიათ განაგონ შერეულ საზოგადოებებში შემავალი საწარმოები, სსრ კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა მთლიანად გადასცეს ამ საზოგადოებებში მონაწილეობის თავისი წილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის, უნგრეთისა და ბულგარეთის მთავრობებს, რომლებმაც ეს წილი რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა აანაზღაურონ ამ ქვეყნების ჩვეულებრივი საექსპორტო ნომენკლატურის საქონლის მიწოდებით საბჭოთა კავშირისათვის.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პრესა ფართო კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას შერეულ საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილის გადაცემის შესახებ და მაღალ შეფასებას აძლევს ამ საზოგადოებათა საქმიანობას.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გადაეცა საბჭოთა წილი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შერეულ საზოგადოებებში, როგორიც არის ფერადი და იშვიათი ლითონების მომპოვებელი საზოგადოება სინძიანში, ნავთობის მომპოვებელი და გადამამუშავებელი — სინძიანში, სამოქალაქო საჰაერო ხაზების მომწყობი და საექსპლოატაციო, გემების მშენებელი და შემკეთებელი საზოგადოებანი, ჩინური გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ მოწონავე სტატიაში წერდა:

„ეკონომიური მშენებლობის მოწინავე საბჭოთა გამოცდილებისა და მოწინავე საბჭოთა ტექნიკის მეოხებით ამ საზოგადოებათა საქმიანობა სწრაფად განვითარდა. ამის შედეგად ამ თანამედროვე საწარმოებმა დადებითი როლი შეასრულეს ჩინეთის ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში. იმპერიალისტები, — აღნიშნავს „ჟენმინჟიბაო“, — ხშირად იყენებენ კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში თავიანთი ეკონომიური აგრესიისათვის კაპიტალების დაბანდების მეთოდს. საბჭოთა კავშირის კაპიტალდაბანდებათა მიზანი კი იყო ჩინეთისათვის საბჭოთა ფონდებითა და ტექნიკით დახმარების გაწევა. დდიდი რესურსების გამოკვლევაში, რომელთა გამოკვლევა მაშინ ჩვენ თვითონ არ შეგვეძლო, საწარმოთა ამუშავებაში, რომლებს ამუშავება მაშინ ჩინეთს თვითონ არ შეეძლო, და ამ დახმარების მიზანი ის იყო, რომ ჩინეთს საძირკველი ჩაეყარა თავისი სრული ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის“.

ბულგაარული გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ მოწონავე სტატიაში იმის გამო, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გადაეცა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილი, წერდა, რომ ამ საზოგადოებათა მუშაობამ „ღრმა კვალი დატოვა და შექმნა სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგების საფუძველი ჩვენს მეურნეობაში. ამ საწარმოებმა არა მარტო ხელი შეუწყეს ჩვენი ქვეყნის სახის შეცვლას ჩვენი სოციალისტური განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი მთელი რიგი ქარხნების შექმნის გზით, არამედ აგრეთვე საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით, მოკლე ვადაში მოამზადეს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მრავალრიცხოვანი კადრები“.

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილება შერეულ საზოგადოებებში მონაწილეობის თავისი წილის გადაცემის შესახებ მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას. ამ თანამშრომლობაში თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობა, რაც დამყარდა სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებს შორის. ამ ურთიერთობის დიადი ცხოველმყოფელობა იმით გამოიხატება, რომ იგი ემყარება ყველა — დიდი და პატარა — ხალხის სრულ და ნამდვილ თანასწორუფლებიანობას, ხალხთა ურთიერთნდობასა და მეგობრობას, ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ღონისძიებათა გაერთიანებას.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა სრულიადაც არ უშლის ხელს ამ სახელმწიფოების ვაჭრობის განვითარებას კაპიტალისტურ ქვეყნებთან მხარეთა სრული თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ ასეთ ვაჭრობას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ურთიერთ ეკონომიური განვითარებისათვის, არამედ აგრეთვე ხალხის მეგობრული ურთიერთობის მოგვარებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

თავისუფალ ხალხთა ძმური თანამშრომლობის მაგალითი თვალნათლივ უჩვენებს ხალხებს, რომლებიც იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე კაბალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, რომ არის და შეიძლება იყოს სხვაგვარი ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, ვიდრე ბატონობისა და დამორჩილების ურთიერთობა.

სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოების მშრომელნი თვალსაჩინოვით უფრთხილდებიან თავიანთ ურთიერთმეგობრობას, დაუცხრომლად ზრუნავენ ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის. ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რაც სამუდამოდ დამყარდა საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის, ცხადყოფს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის უძლეველობას.

„პრავდის“ 13/XI მოწინავე.

ლენინგრადის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შეასრულეს

ლენინგრადის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა შეასრულეს. ჩაბარებულია 18 ათასი ტონით მეტი კარტოფილი, ვიდრე 1953 წელს.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

ოთხი მილიონი მანეთის პროდუქცია

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ხუთწლედის ვადამდე განაღდების შესახებ მოსკოველთა მოწოდების პასუხად გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი, ჩაეხსნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს შემდეგი ვალდებულებები:

1951-1955 წლების საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება გაანაღდონ მომავალ წელს კონსტიტუციის დღისათვის და 1955 წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვან 4 მილიონი მანეთის პროდუქცია.

იზოთერმიული ვაგონების შეკეთების ხუთი წლის გეგმა შეასრულონ ვადამდე — 1955 წლის 1 ნოემბრისათვის, ხოლო რკინიგზის ტრანსპორტისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების გამოშვების გეგმა — 1955 წლის 1 მარტისათვის.

ხუთწლედის ბოლოსათვის შრომის ნაყოფიერება აამაღლონ 13,5 პროცენტით 1950 წელს მიღწეულ დონესთან შედარებით.

პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 1,8 პროცენტით ნიმდინარე წლის დონესთან შედარებით.

1954 წელთან შედარებით 1955 წელს წუნით გამოწვეული დანაკარგები შეამცირონ 10 პროცენტით.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ვ. ძნელაძე, მთავარი ზოოტექნიკოსი ა. კულიკოვი) გადაჭარბებით შეასრულა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხენების სულადობის განვითარების, აგრეთვე ხორცისა და რძის ჩაბარების დავალებანი.

დიდი გადამეტებით გაანაღდეს ძროხის წველადობის გეგმაც. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1 ოქტომბრისათვის ნაცვლად 2.150 კილოგრამისა მიღებული იყო 2.449,7 კილოგრამი რძე.

★ ★ ★

მოსკოველთა მოწოდების პასუხად

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა, მოსკოველთა მოწოდების პასუხად იკისრა:

საერთო პროდუქციის გამოშვების 1951-1955 წლების დავალება გაანაღდოს სამი თვით ადრე 1955 წლის 1 ოქტომბრისათვის;

სასურსათო პროდუქტების საწარმოთათვის მოწყობილობისა და დანადგარების გამოშვება 1950 წლის დონესთან შედარებით გაადიდოს 3-ჯერ;

მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების გადიდებას 1950 წლის დონესთან შედარებით 215 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს სულ ცოტა 51 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და პროდუქციის გამოშვების გადიდების უზრუნველსაყოფად დაამთავროს ლითონსასხმელი საამქროს რეკონსტრუქცია, განახორციელოს შრომატევადი პროცესების ნექანიზაცია, მოაწყოს ახალი საინსტრუმენტო საამქრო.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ

რუსთავი დღეს

რომ იკითხონ, რომელია საქართველოს უძველესი და უახლესი ქალაქი, საკმარისია ერთი სახელის ხსენება—რუსთავი! — და პასუხი დამაჯერებელი იქნება. მას ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იხსენიებდნენ, როგორც ციხე-ქალაქს. ჯერ მონღოლებმა აოხრეს, შემდგომ საუკუნეებში ქართველი ხალხის სხვა მტრებმა არაერთგზის სცადეს ცეცხლითა და მახვილით ამოეშალათ ბოსტანქალაქის სახსენებელი.

საბჭოთა ხალხის ყოვლისმძლე ნებამ ძველი ბოსტანქალაქის ადგილზე ათიოდე წელიწადში შექმნა საქართველოს ინდუსტრიული სიამაყე, ახალი სოციალისტური ქალაქი, რომელიც რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის კერად იქცა. აქ დაირწა ჩვენებური ფოლადისა და თუჯის აკვანი.

სტალინის სახელობის მიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ერთ-ერთი ახალგაზრდა საწარმოა, აღჭურვილია მძლავრი უახლესი საბჭოთა ტექნიკით. აქ დადგმულია და წარმატებით მუშაობენ ევროპაში ყველაზე ძლიერი მილსაგლინავი დგანი „400“ და ჩვენს ქვეყანაში დამზადებული ომის შემდგომი პირველი ბლუმინგი. რუსთავის მარკის პროდუქციამ — ფოლადმა, მთლიანნაგლინმა უნაწიბურო დიდდიამეტრიანმა მილებმა უკვე ფართო პოპულარობა მოიპოვეს. ფოლადის მილები იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ოთხი თვის წინათ ამოქმედდა ქარხნის პირველი ბრძმედი — მიღებულ იქნა რუსთავის თუჯი. ამ დღეებში მშენებლებმა და მეტალურგებმა კიდევ ერთი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს, ასათვისებლად გადასცეს დგანი „320“, რომელიც სოფლის მეურნეობისა და მშენებლობებისათვის ათზე მეტი ასორტიმენტის ნაწარმს გამოუშვებს.

ახლა ხალინინის სახელობის ქარხანა სრული მეტალურგიული ციკლის საწარმოა— ამზადებს თუჯს, ფოლადს, ნაგლინს.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხისა და უკრაინელი ხალხის, ძმური დახმარებით რუსთავში შეიქმნა არა მარტო მეტალურგიული ქარხანა და გაშენდა ახალი ქალაქი, არამედ აღიზარდნენ მეტალურგთა კვალიფიციური ეროვნული კადრებიც.

რუსთავის მრეწველობა მარტო მეტალურგიული ქარხნით როდი განისაზღვრება, ქალაქში მჩქეფარე მუშაობა აქვს გაჩაღებული რესპუბლიკაში ყველაზე დიდ სამშენებლო ორგანიზაციას — ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტს. იგი ყოველდღიურად მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამუშაოს ასრულებს. ტრესტს მძლავრი საწარმოო ბაზა აქვს. რუსთავში მუშაობს ბეტონის ცენტრალური კომბინატი, სადაც რკინა-ბეტონისა და ბეტონის ოცამდე დეტალი და კონსტრუქცია მზადდება. კომბინატს აქვს საბჭოთა კავშირში პირველი რკინა-ბეტონის ძელფენილების დამამზადებელი კომბაინი. აქ შეუდგნენ ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოშვებას. ქალაქის მშენებლობაში დიდ როლს ასრულებს სამშენებლო მექანიზმების სამმართველო, რომლის ხელშიც თავმოყრილია დიდძალი ტექნიკა. რუსთავში მუშაობენ აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი მრავალი საწარმოთი, ხისდამმუშავებელი კომბინატი, პურის მექანიზებული ქარხანა და სხვა ობიექტები. რუსთავის სამრეწველო მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება, როცა მოქმედ საწარმოთა რიგებში ჩადგებიან აზოტოვანი სასუქებისა და ცემენტის ქარხნები.

თუ რესპუბლიკის რომელიმე ქალაქზე ითქმის, დღითიდღე იზრდება და მშვენდებაო, ეს რუსთავზეა ზედგამოჭრილი.

მეტალურგები თავიანთ ცენტრალურ პროსპექტს რუსთაველის პროსპექტის ღირსეულ ძმად თვლიან. არც სცდებიან. სილამაზით და სიგანით იგი მართლაც მეორეა საქართველოში. მრავალწლიანი დეკორაციული ნარგავებით დამშვენებული კოხტა არქიტექტურული ანსამბლები, სწორი და მოასფალტებული ქუჩები, ფართო მოედნები — ასე გამოიყურება დღეს რუსთავი.

ქალაქის საბინაო მშენებლობის ტემპსა და მასშტაბებზე წარმოდგენას იძლევიან შემდეგი ციფრები: შარშან მეტალურგებმა 27.913 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს, წელს მარტო ათ თვეში — 72 სახლი 32.300 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით, მშენებლობის პროცესშია 75 სახლი 55.218 კვადრატული მეტრი ფართობით. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე უკვე აღმართა საცხოვრებელი სახლების ახალი კორპუსები.

ბინათმშენებლებმა საოქტომბროდ დიდი გამარჯვება მოიპოვეს — ვადამდე საექსპლოატაციოდ გადასცეს რუსთავში ყველაზე დიდი ხუთსართულიანი, 230-ოთახიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი.

150-მდე მაღაზია, ფარდული, სახადილო, რესტორანი, კაფე და სასაუზმე მუშაობს მეტალურგთა ქალაქში. სულ უფრო ფართოვდება სასკოლო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო-სანიტარულ დაწესებულებათა ქსელი. მეტალურგთა შვილების აღზრდას ემსახურებიან სბბავშვო ბაღები და ბაღები, 14 სკოლა. მარტო მიმდინარე წელს სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი თითქმის 1.000 ბავშვით გაიზარდა. ქალაქშია მუშა ახალგაზრდობისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები, სახელოსნო სასწავლებლები, მუსიკალური სკოლა, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი. წელიწადზე მეტია გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მაგრამ ხერიოზული ნაკლი არსებობს მოსახლეობის კულტურულ მომსახურეობაში. ქალაქს დღემდე ერთი კინოთეატრიც არა აქვს, შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული კულტურის საქალაქო სახლი, კეთილმოუწყობელია კულტურისა და დასვენების პარკი, დედაქალაქის წამყვანი თეატრების კოლექტივები იშვიათად თუ მოევლინებიან მეტალურგებს.

რუსთავმა ზეიმით აღნიშნა ოქტომბრის დიდი დღესასწაული. საოქტომბრო საწარმოო ხაჩუქრები მოამზადეს მეტალურგებმა. დიდი გამარჯვება მოიპოვეს მებრძმედეებმა, თუჯის გამოდნობის დაწყების დღიდან პირველად 29 ოქტომბრისათვის შეასრულეს თვის დავალება. პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი მეფოლადეებმაც, მილმგლინავებმაც და ბინათმშენებლებმაც, რომლებმაც 2 თვით ადრე გაანაღდეს მშენებლობის წლიური გეგმა.

მოსკოველ პატრიოტთა მოწოდების პასუხად მეტალურგები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს იღებენ. ისინი კისრულობენ მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი მისცენ სამშობლოს.

ასე ეხმაურება მოსკოვს რუსთავი.

ს. ხარაზიშვილი,
გ. გელაშვილი.

მეჯი მაღალხარისხოვანი ჩარხები სახალხო მეურნეობას

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ნუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ განიხილა და ერთსულოვნად მოიწონა მოსკოვის საწარმოთა კოლექტივების მოწოდება მეხუთე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ჩაებას ამ შეჯიბრებაში და ადგილობრივი რეზერვების სრული გამოყენებით უზრუნველყოს ხუთწლედის ვადამდე გახალდება.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა:

საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მეხუთე ხუთწლედი შეასრულოს 1955 წლის 1 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით სახალხო მეურნეობას მისცეს ათობით სხვადასხვა ტიპის ჩარხი.

1955 წელს შრომის ნაყოფიერება 1950 წლის დონესთან შედარებით გაადიდოს 45 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 20 პროცენტით, ხოლო დანაკარგები — 50 პროცენტით.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად ჩარხმშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ ხუთწლედის ბოლომდე აითვისონ 40 ახალი მოდელის ჩარხის წარმოება, გააფართოონ ლითონის ცხელი და ცივი დატვიფრვის მასშტაბები, საამქროებში გამართონ ახალი მძლავრი ამწე და სატრანსპორტო მექანიზმები.

მაღაროელები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში

ჰიათურა. (საკ. კორ.). ჰიათურელმა მაღაროელებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ჩაებან მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივით გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის და აიღეს კონკრეტული ვალდებულებები.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა იკისრა ხუთწლიანი გეგმა შეასრულოს 1955 წლის 1 სექტემბრისათვის და 1950 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება აამაღლოს 73 პროცენტით, ხოლო მადნის დატვირთვის მექანიზაციის დონე 95 პროცენტამდე აიყვანოს.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა პირობა დადეს ხუთწლედი შეასრულონ 1955 წლის 15 აგვისტოსათვის.

მთლიანად მარგანეცის ტრესტმა იკისრა მადნის ამოღების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება უზრუნველყოს 1955 წლის 1 სექტემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 43 პროცენტით და მადნის დატვირთვის მექანიზაციის დონე აამაღლოს 50 პროცენტამდე.

ციტრუსოვანთა ნერგები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის

სოხუმი, 12 ნოემბერი. (საქდესი). დღეს საბჭოთა კავშირის ტენიანი სუბტროპიკული კულტურების სასელექციო სადგურმა თვითმფრინავით გაგზავნა ჩეხოსლოვაკიაში საუკეთესო სასელექციო ჯიშის ლიმონის, ნარინჯისა და გრეიპფრუტის სტანდარტული ნერგების პარტია. გუშინ აქედან ციტრუსოვანთა ნერგები გაეგზავნა ბულგარეთს. სხვადასხვა სუბტროპიკული კულტურის ბევრი ნერგი გაგზავნა სადგურმა აგრეთვე ალბანეთში.

ახლა სასელექციო სადგურის პლანტაციებში დიდი რაოდენობით ზრდიან ახალგაზრდა ციტრუსოვანთა ხეებს, რომლებიც გაზაფხულზე გაეგზავნება პოლონეთს.





რუსთავი. სურათზე: 1. ახალი, ყველაზე დიდი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც დღესასწაულის წინ ჩასახლდნენ მეტალურგები; 2. კულტურის სასახლის ხედი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ანგარიშგებიდან-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

სოფლის კომუნისტების კრებაზე

ლამაზი სანახავია გორის რაიონის სოფლები. ირგვლივ ბარაქიანი შემოდგომის სურნელი ტრიალებს. ასეა სოფელ კარალეთშიც.

აქ შემჭიდროებულ ვადებში ჩაატარეს საშემოდგომო ხვნა-თესვა. პურეულის დიდი ნაწილი დათესეს პროგრესული წესით: ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად. მორჩნენ რთველს და ვამლის კრეფას, ბოსტნეულის აღებას და სახელმწიფოსათვის ჩაბარებას. ამჟამად მთელი ძალით წარმოებს შაქრის ჭარხლის ამოღება და მიმღებ პუნქტებში გადაზიდვა. მზრალად იხვნება ნიადაგი გაზაფხულზე სათესად.

წარმატებათა მოპოვებაში დიდი წვლილი მიუძღვით კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას, კომუნისტებს. ამ დღეებში გაიმართა კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

კრებამ მოისმინა პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის რ. გოგიაშვილის საანგარიშო მოხსენება.

სიუხვის გზები

— ჩვენი კოლმეურნეობა, — აღინიშნა კრებაზე, — ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა. გასული წლის მაჩვენებლებით იგი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო. შარმან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 7,5 მილიონ მანეთს მიაღწია. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული სიუხვის შექმნის ყველა არსებული რეზერვი.

ასე, მაგალითად, მეხილეობა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის მთავარი წყაროა. მაგრამ ეს, რასაც კოლმეურნეობა მეხილეობიდან იღებს, არის თუ არა ზღვარი? რა თქმა უნდა, არა! კოლმეურნეობაში არის ცალკეული ბაღები, სადაც 12-15 წელია არ ჩატარებულა ხეხილის გაახალგაზრდავება და რემონტი. ასეთი ბაღებიდან არ შეიძლება ხილის კარგ მოსავალს ველოდეთ. წელს მეხილეობის ბრიგადებმა, რომლებსაც ს. გოგიაშვილი, დ. ადუაშვილი და სხვები ხელმძღვანელობენ, საშუალოზე მაღალი, ხოლო ბრიგადებმა, რომლებსაც მ. ჩუხრუკიძე და ს. ლოლიჯაშვილი ხელმძღვანელობენ, ხილის საშუალოზე დაბალი მოსავალი მოიყვანეს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ყველა ბრიგადა ერთნაირად როდი იბრძვის ხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

კოლმეურნეობამ წელს პურის დაბალი მოსავალი მიიღო. მაზეზი ის იყო, რომ პურეული დათესა აგროტექნიკის წესების დარღვევით, მოსავლის აღებისას დანაკარგები დაუშვეს. ცუდი მუშაობისათვის გააკრიტიკეს კოლმეურნეობის მე-10, მე-12 და მე-13 ბრიგადები. ეს ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიის გორის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი არასაკმაოდ იბრძვიან მარცვლეული კულტურების მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

კრებაზე გაკრიტიკებულ იქნა აგრეთვე გორის მტს-ის მუშაობა.

— მტს-ი, — თქვეს კომუნისტებმა, — ყველა სამუშაოს როდი ასრულებს მაღალხარისხოვნად. შემჩნეული იყო ნაწვერალის ცუდად მოხვნის რამდენიმე შემთხვევა. ტექნიკური უწესივრობას გამო ტრაქტორების მოცდენის შემთხვევებია.

კომუნისტმა ა. სირიბეგოვმა ილაპარაკა სარწყავი წყლის გამოყენებაზე, აღნიშნა, რომ მოსავლიანობის გადიდების ეს მნიშვნელოვანი საშუალება სათანადოდ არ არის გამოყენებული. ახლაც, საშემოდგომო ნათესების მორწყვის პერიოდში, წყალი უსარგებლოდ იღვრება.

— წელს კოლმეურნეობაში კარტოფილის ცუდი მოსავალია, — თქვა კომუნისტმა აგროტექნიკოსმა ე. ბაზნდარაშვილმა, — რაც დავთესეთ, იმასაც ვერ ვიღებთ. ეს იმიტომ, რომ უხეშად დაირღვა კარტოფილის რგვის აგროტექნიკა. ამასთან კარტოფილის ნათესი დროზე არ მოირწყო. ამაში ბრალი აგრეთვე მიუძღვის.

რაგორც მომხსენებელმა, ისე კამათში სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა ილაპარაკეს იმ წარმატებებზე, რაც უკანასკნელ ხანს მიღწეულია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. გეგმით გათვალისწინებული 850 ლიტრის ნაცვლად თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 926 ლიტრი რძე, რაც მიღწეულია ძროხების ჯიშიანობისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების გზით. წელს შეძენილია 50 ჯიშიანი ძროხა.

მაგრამ წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, პარტბიუროს და კოლმეურნეობის გამგეობას ყველა საშუალება რომ გამოეყენებინათ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ჭიანურდება ახლად აგებულ მეძროხეობის ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელება. საშეფო დახმარება ნაკისრი აქვს გორის ბამბეულის კომბინატს, მაგრამ იგი საქმიანად არ ეხმარება კოლმეურნეობას. ამ საკითხებზე ილაპარაკეს კომუნისტებმა — მეცხოველეობის ბრიგადირმა გ. თუშმალოვმა, ვეტექიმმა გ. რაზმაძემ და სხვებმა.

სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა — ყურადღების ცენტრში

— ჩვენს ბრიგადაში, — აღნიშნა მეცენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა კომუნისტმა ლ. გურგენაშვილმა, — დაბალია სააგიტაციო მუშაობის დონე. აგიტატორმა თ. ხრიოლოკაშვილმა უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში მხოლოდ ორი საუბარი ჩაატარა. პარტბიურო სუსტად ხელმძღვანელობს და ეხმარება აგიტატორებს.

კრებაზე აღინიშნა, რომ პარტბიურო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ლექციურ პროპაგანდას. არ იკითხებოდა ლექციები, მოხსენებები სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო თემებზე, სოციალისტური თანაცხოვრების წესების შესახებ და სხვ.

— პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე, — განაცხადა სოფლის მასწავლებელმა კომუნისტმა გ. ზაალიშვილმა,— რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, არასწორად არის დაკომპლექტებული. წრეში გაერთიანებული არიან საშუალო და დაბალი განათლების მქონე ამხანაგები. ეს აძნელებს მუშაობას. არის მსმენელების მიერ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევებიც.

კრებაზე პარტბიუროსადმი არასაკმაო დახმარებისათვის გაკრიტიკებულ იქნა გორის მტს-ის ზონაში პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობა. კოლმეურნეობაში არსებული ზოგიერთი ნაკლი რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფისათვის შეუმჩნეველი რჩება.

კომუნისტთა წინადადებები

პარტიულ კრებაზე კომუნისტებმა ბევრი საქმიანი წინადადება წამოაყენეს. ბრიგადირმა დ. მურადაშვილმა გააკრიტიკა პარტბიუროს მუშაობა და წამოაყენა წინადადება, რომ ახლად არჩეულმა პარტბიუროომ პრაქტიკაში შემოიღოს თავის სხდომებზე ბრიგადირების მოხსენებათა მოსმენა.

იმასთან დაკავშირებით, რომ კოლმეურნეობაში მნიშვნელოვნად გამსხვილდა და გაიზარდა მეცხოველეობის ფერმები, ხოლო იქ ნაკლოვანებანი ბევრია, კრებამ საჭიროდ ცნო ფერმებში სამუშაოდ გაიგზავნოს რამდენიმე გამოცდილი, მეცხოველეობის საქმის მცოდნე კომუნისტი.

კრებაზე გამოითქვა აგრეთვე აზრი, რომ გაზაფხულზე სამინდის თესვა, კარტოფილის და ბოსტნეულის რგვა კვადრატულ-ბუდობრივი წესით დიდ ფართობზე ჩატარდეს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებულ შთაბეჭდილებათა და გამოცდილების საკოლმეურნეო წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის კომუნისტთა წინადადებაა პერიოდულად მოეწყოს „მოწინავე კოლმეურნის დღე“.

კომუნისტების წინადადებათა დიდმა ნაწილმა ასახვა ჰპოვა კრების მიერ მიღებულ დადგენილებაში.

* * *

საანგარაშო მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 12 კომუნისტმა. კრებამ აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები.

მ. ხეთაგური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი

13 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროპის ქვეყნებს, რომლებთანაც სსრ კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის იდენტური ნოტები ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ. ნოტები გაეგზავნათ შემდეგი სახელმწიფოების საელჩოებსა და მისიებს, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან: საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, ალბანეთის, ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, საბერძნეთის, დანიის, ისლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, თურქეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, შვეციის, იუგოსლავიის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს.

გარდა ამისა, ეს ნოტა გაეგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი მიწვეულია აღნიშნულ თათბირზე როგორც მეთვალყურე.

ქვემოთ იბეჭდება ტექსტი სსრ კავშირის მთავრობის ნოტისა საფრანგეთის მთავრობისადმი.

„საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს საფრანგეთის მთავრობას შემდეგი.

მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს პარიზში ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, რომლებიც ეხება დასავლეთ გერმანიას. ამ შეთანხმებათა ხელის მოწერას წინ უძღოდა ცხრა ქვეყნის ლონდონის თათბირი, რომლის მონაწილენი შეთანხმდნენ სეპარატულ ლონისძიებათა შესახებ გერმანიის საკითხზე.

პარიზის შეთანხმებანი, აღიარებენ რა გერმანიის შესახებ არსებულ საერთაშორისო შეთანხმებებს, ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენას, დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების შექმნას და დასავლეთ გერმანიის შეყვანას ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებიც უპირისპირდებიან ევროპის სხვა სახელმწიფოებს.

დასავლეთ გერმანიაში იქმნება არმია, რომელშიც უკვე უახლოეს ხანში უნდა იყოს 500-520 ათასი კაცი და რომელსაც ეყოლება დიდი საავიაციო და სატანკო შენაერთები, აგრეთვე საკუთარი სამხედრო შტაბები. გერმანელი მილიტარისტები ახლაც არ მალავენ, რომ დასავლეთ გერმანიის არმიის რიცხვი, რომელიც დაწესებულია ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა მიხედვით, მათ მიაჩნიათ კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების შექმნის მხოლოდ ბაზად.

დასავლეთ გერმანიის არმია იქმნება იმ გერმანელი გენერლების ხელმძღვანელობით, რომლებიც ჰიტლერულ არმიას მეთაურობდნენ მეორე მსოფლიო ომის წლებში, იყვნენ ევროპის ქვეყნებში ფაშისტური აგრესიისა და სისხლიანი ჰიტლერული „ახალი წესრიგის“ დანერგვის თანამონაწილენი.

ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი ხელფეხს უხსნიან დასავლეთ-გერმანელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს შეიარაღების შეუზღუდველი წარმოებისთვისაც. დასავლეთ გერმანიის შეიარაღებულ ძალებს საშუალება ეძლევათ აგრეთვე თავიანთ შეიარაღებაში ჰქონდეთ ატომური იარაღი, რაც ბევრად აძლიერებს გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხეს ევროპაში.

აღნიშნული შეთანხმებანი ითვალისწინებენ რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის შეყვანას ახალ სამხედრო დაჯგუფებაში, რომელსაც ახლა აკოწიწებენ, როგორც ეგრეთწოდებულ „დასავლეთ ევროპის კავშირს“, აგრეთვე ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, რომლის აგრესიული ხასიათი უკვე არაერთხელ აღუნიშნავს საბჭოთა მთავრობას.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ დასავლეთ გერმანიის მიმართ ისეთ კურსს ახორციელებენ, რომელიც შეუთავსებელია როგორც ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ამოცანასთან, ისე გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენის ამოცანასთან. ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა განხორციელება იმის მომასწავებელი იქნება, რომ გერმანიის გაერთიანება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობით მსხვერპლად შეეწიროს გერმანიის მილიტარიზმის — ევროპის ხალხთა, მათ შორის თვით გერმანელი ხალხის ამ მოსისხლე მტრის — აღდგენის ახლანდელ გეგმებს.

ცდილობდა რა გაეადვილებინა გერმანიის ერთიანობის აღდგენის საკითხის გადაჭრა, საბჭოთა მთავრობამ შეიტანა წინადადება — განხილულ იქნას აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი. ამავე დროს შეტანილ იქნა აგრეთვე წინადადება, რომ განისაზღვროს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის ყველა სახეობის გერმანული პოლიციის რიცხვი და შეიარაღება. საბჭოთა მთავრობას კვლავ მიაჩნია, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს ევროპაში დაძაბულობის შენელებას.

ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი შეუთავსებელია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულებასთან კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ და ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულებასთან ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელებას იმ მიზნით, რომ დაშვებულ არ იქნას გერმანიის მხრივ ახალი აგრესიის შესაძლებლობა.

საბჭოთა მთავრობამ უკვე მიაქცია იმ სახელმწიფოთა ყურადღება, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა გერმანიის პრობლემის მოწესრიგებისათვის, იმ სერიოზულ საფრთხეს, რომელიც დაკავშირებულია დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინებასთან და სამხედრო დაჯგუფებებში დასავლეთ გერმანიის შეყვანასთან. ზოგიერთი სახელმწიფოს ასეთ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნა, რომლებიც უპირისპირდებიან ევროპის სხვა სახელმწიფოებს, გარდუვალად იწვევს, როგორც ისტორიის გამოცდილებამ ცხადყო, ურთიერთობის გაფუჭებას მათ შორის და, საბოლოო ანგარიშით, ომს. ასე იყო პირველი მსოფლიო ომის წინ, როცა შეიქმნა სახელმწიფოთა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი სამხედრო კოალიცია. ასე იყო მეორე მსოფლიო ომის წინაც, როცა ჰიტლერული გერმანიის მფარველობით შეიქმნა აგრესიული სამხედრო დაჯგუფება, რომელმაც თავი დაუპირისპირა სხვა სახელმწიფოებს, რომელნიც ომის მსვლელობაში იძულებული იყვნენ გაეერთიანებინათ თავიანთი ძალები ჰიტლერული აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

რათა თავი დავაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა ევროპა პერიოდულად ხდება ასპარეზი სისხლისღვრელი და გამანადგურებელი ომებისა, რომლებიც ევროპის სახელმწიფოთა ხალხებისაგან მრავალ მილიონ ადამიანს იწირავენ მსხვერპლად და კოლოსალურ მატერიალურ ნგრევას იწვევენ, საჭირო ხდება შეიქმნას ევროპის უშიშროების ისეთი სისტემა, რომლის მონაწილეც იქნება ევროპის ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა. სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების ასეთი სისტემის შექმნა მტკიცე საფუძველი იქნება ევროპის ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის და უზრუნველყოფს მათს ეროვნულ უშიშროებას იმ გზით, რომ ვალდებულებას იკისრებს მშვიდობიანად მოაგვაროს მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება, ხოლო თუ შეიქმნება საფრთხე მშვიდობისათვის ან მშვიდობის დარღვევის მუქარა, განახორციელოს აგრესორის წინააღმდეგ გაერთიანებული მოქმედება და საომარი მოქმედებაც კი.

ევროპაში კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნა, სისტემისა, რომელიც დაემყარება ევროპის ყველა სახელმწიფოს გაერთიანებულ ღონისძიებებს, შეამსუბუქებდა გერმანიის პრობლემის მოწესრიგების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში აღმოიფხვრებოდა გერმანიის ერთიანობის აღდგენის ძირითადი დაბრკოლება, რომელიც ამჟამად არსებობს და რომელიც გამოიხატება იმ გეგმებით, რომ დასავლეთი გერმანია გადააქციონ მილიტარისტულ სახელმწიფოდ და შეიყვანონ აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში.

დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის შესაბამისი შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობის გასაადვილებლად საბჭოთა კავშირმა მიმდინარე წლის დამდეგს, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის დროს შეიტანა წინადადებანი „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ ძირითადი პრინციპების თაობაზე. ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის წინადადებებს დადებითად მიეკიდნენ ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები. მას აგრეთვე მხარი დაუჭირეს როგორც ევროპის იმ სახელმწიფოთა ფართო საზოგადოებრივმა წრეებმა, რომელთა მთავრობებსაც ჯერ კიდევ არ გამოუთქვამთ თავიანთი დამოკიდებულება ევროპის კოლექტიური უშიშროების იდეისადმი, ისე იმ სახელმწიფოების ფართო საზოგადოებრივმა წრეებმაც, რომელთა მთავრობებმა უარი თქვეს მხარი დაუჭირონ წამოყენებულ წინადადებებს.

დღემდე, როგორც ცნობილია, არ მოხერხდა საჭირო შეთანხმების მიღწევა დაინტერესებულ ქვეყნებს შორის ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ. ამავე დროს ევროპის ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვს, რომ ევროპის განვითარება მოხდეს არა გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისა და ევროპაში სახელმწიფოთა ერთმანეთისათვის დაპირისპირებული სამხედრო ბლოკების შექმნის დამღუპველი გზით, არამედ ევროპის ყველა — დიდი და პატარა— სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების გათვალისწინებაზე დამყარებული სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნის გზით.

გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისა და რემილიტარიზებულ დასავლეთ გერმანიის სამხედრო დაჯგუფებებში შეყვანის გეგმებმა, რომლებიც ლონდონისა და პარიზის თათბირებმა მოამზადეს, არ შეიძლება არ გაართულონ მდგომარეობა ევროპაში.

ამ გეგმების განხორციელება გარდუვალად გამოიწვევს ურთიერთობის გამწვავებას ევროპის სახელმწიფოებს შორის; გამალებული შეიარაღების გაძლიერებას და სამხედრო ხარჯების ტვირთის მნიშვნელოვან გადიდებას ევროპის ხალხებისათვის. ამასთან დაკავშირებით საეჭვოდ ბუნებრივი იქნება, თუ ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხები იძულებული გახდებიან ახალი ლონისძიებანი განახორციელონ თავიანთი უშიშროების უზრუნველსაყოფად.

თავიდან აცილებულ რომ იქნას ევროპაში მდგომარეობის აღნიშნული გართულება, რომელიც აძლიერებს ომის საფრთხეს, უნდა განხორციელდეს ყველა ღონისძიებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის დამყარებას და ამით საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას.

ითვალისწინებს რა ამას, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ წარმოიშვა საჭიროება ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას თათბირი ევროპის ყველა სახელმწიფოსი, რომელიც მოისურვებს მონაწილეობა მიიღოს ამ თათბირში, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა.

აღიარებს რა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, რაც აკისრია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოებს, საბჭოთა მთავრობა სასურველად თვლის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი მეთვალყურე გაგზავნოს ამ თათბირზე.

თავისთავად იგულისხმება, რომ აღნიშნული თათბირის მონაწილე ყოველ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეიტანოს წინადადებანი, რომლებიც მას საჭიროდ მიაჩნია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოთა მთავრობას წინადადება შემოაქვს, რომ ასეთი თათბირი მოწვეულ იქნას მომდინარე წლის 29 ნოემბერს მოსკოვში ან პარიზში.

ასეთი თათბირის მოწვევის გადადება მიზანშეწონილი არ იქნება, რადგან უკვე დეკემბრიდან ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში იწყება პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხის განხილვა. ასეთი რატიფიკაცია დიდად გაართულებდა მთელ მდგომარეობას ევროპაში და ძირს გამოუთხრიდა ევროპის გადაუჭრელ პრობლემათა და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის პრობლემის მოწესრიგების შესაძლებლობას.

წინადადებას იმის შესახებ, რომ 29 ნოემბერს მოსკოვში ან პარიზში მოწვეულ იქნას სრულიად ევროპის თათბირი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე, იზიარებენ აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობა, რომლებთანაც საბჭოთა მთავრობას ჰქონდა სათანადო კონსულტაციები.

სსრ კავშირის მთავრობამ ანალოგიური ნოტები გაუგზავნა ევროპის ყველა სახელმწიფოს, რომლებთანაც სსრ კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს. საბჭოთა კავშირი ითვალისწინებს, რომ ევროპის ის სახელმწიფოები, რომლებთანაც სსრ კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს, შეიძლება მოიწვიონ საფრანგეთის, ინგლისის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა, რომლებსაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ აღნიშნულ ქვეყნებთან.

საბჭოთა მთავრობა მადლობელი იქნება საფრანგეთის მთავრობისა, თუ იგი აცნობებს, რომ მონაწილეობას მიიღებს ზემოაღნიშნულ სრულიად ევროპის თათბირში“.

დავნერგოთ მარგანეცის მადნების დიფერენცირებული ამოღების წესი

ჭიათურის სამთამადნო რაიონში, როგორც ცნობილია, გარდა ჟანგეული შავი და ყავისფერი მადნებისა დიდად გავრცელებულია თეთრი და ღია რუხი მარგანეცის კარბონატული მადანი. ამ მადნის შეწყობილი ქიმიური შედგენილობა განაპირობებს მის წარმატებით გამოყენებას მეტალურგიაში.

მაგრამ მარგანეცის კარბონატულ მადანს ახასიათებს ერთი თავისებურება. მისი ფენა მეტწილად მოთავსებულია მარგანეცის ჟანგეული შავი ნადნის ჰორიზონტის ზემოთ. ეს სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან ჟანგეულ შავ მადანს ვიღებთ იმის შედეგად, რომ თეთრი კარბონატული მადანი იჟანგება, მასში ლითონური მარგანეცი ზეჟანგის ფორმით გადაეცემა.

მარგანეცის კარბონატული მადნის რაციონალური ექსპლოატაციის საკითხს ჭიათურაში ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. უნდა აღიკვეთოს მაღაროთა ზოგი ხელმძღვანელის დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა ამ საკითხში. საქმე ის არის, რომ ჭიათურის მაღაროებში კარბონატული მადანი გარდა მცირე გამონაკლისისა, შუა შრეების სახით როდი შეიცავს ფუჭ ქანს. ამ მადანში ლითონური მარგანეცი და კაჟმიწა ისეთი პროპორციითაა, რომ სავსებით შეესაბამება მეტალურგების მიერ წარმოდგენილ პირობებს. მაშასადამე, კარბონატული მადნების მდებარეობის გეოლოგიური ხასიათი გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ამ მადნის ამოღება ვაწარმოოთ რაციონალურად, თავიდან ავიცილოთ დანაკარგები, მრეწველობას მივაწოდოთ მხოლოდ მაღალხარისხოვანი მადანი.

ჭიათურის მაღაროებში, როგორც საგულდაგულო შემოწმებით გამოირკვა, სანგრევებში მადნის ნონგრევის მიზნით ფენათა აფეთქებას ახდენენ იმის განურჩევლად, თუ როგორ არის იქ განლაგებული კარბონატული თეთრი მადანი. ზოგჯერ მარგანეცის თეთრ კარბონატულ მადანს აფეთქებენ ჟანგეულ შავ მადანთან და კვარცის ქვიმასთან ერთად. ამით კარბონატულ საჩონლო მადანში ირევა ფუჭი ქანი, კაჟის რაოდენობა მადანში იზრდება, მაშასადამე, მადნის ხარისხი უარესდება. კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს ზოგ უბანზე მარგანეცის კარბონატულ თეთრ მადანს ხშირ შემთხვევაში ურევენ სანგრევის სახურავის გვერდიდან გამოღებულ თიხიან ქვიშაქვას, რაც მადანში კაჟის ნარევს საგრძნობლად ადიდებს. საჭიროა მაღაროთა ხელმძღვანელებმა კარბონატული მადნის მოპოვებისას უზრუნველყონ მაღაროებში მუშაობა შედგენილი პასპორტის მიხედვით და ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრან ამ საქმეში თვითნებობა.

წინათ კარბონატული მადნის მოპოვებისას სანგრევებში შპურების განლაგებას ისე ახდენდნენ, რომ პირველად აეფეთქებინათ ჟანგეული მადანი, ხოლო ორი წუთის შემდეგ კარბონატული მადანი. ეს ორი მადანი ერთმანეთში რომ არ არეულიყო, პირველად გამოჰქონდათ კარბონატული მადანი, შემდეგ ჟანგეული მადანი. ეს წესი, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, რაციონალური არ არის, ვინაიდან ეს მადნები უნებლიეთ მაინც ირევა ერთმანეთში. მარგანეცის კარბონატული მადნის ჟანგეულ მადანთან ერთდროული ამოღება უნდა უარვყოთ. საჭიროა სანაგიეროდ მოქმედ სანგრევებში (პირველ რიგში კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში) გამოვიყენოთ ჭერსაფეხურიანი სანგრევებით კარბონატული მადნის ამოღების ხერხი და ასეთი წესით მუშაობა მტკიცედ დავნერგოთ. ეს წესი ძალიან შეამცირებს მადნის საექსპლოატაციო დანაკარგებს, რასაც ჩვენთვის ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

რას გულისხმობს ჭერსაფეხურიანი სანგრევებით მადნის ამოღების ხერხი? ეს გულისხმობს იმას, რომ ჯერ უნდა მოხდეს ჟანგეული მადნის მონგრევა, მისი აწმენდა და ჩატვირთვა ვაგონებში. როდესაც ჟანგეული მადანი მთლიანად აღებულია, შემდეგ უნდა მოხდეს კარბონატული მადნის მონგრევა, აწმენდა და გამოზიდვა. ამრიგად, საჭიროა დავნერგოთ მარგანეცის კარბონატული თეთრი და შავი მადნების დიფერენცირებული მოპოვების წესი. მარგანეცის კარბონატული მადნის წვრილად დამსხვრევის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება მადნის მონგრევა ვაწარმოოთ მომნგრევი ჩაქუჩით და არა აფეთქებით.

ცხადია, ასეთი წესით მუშაობის დანერგვისას საჭირო იქნება წინდახედულობის გამოჩენა. სახურავიდან მადანში ფუჭი ქანის შერევის თავიდან ასაცილებლად მნგრევი ჩაქუჩის წვერი, ან თუ აფეთქებით ვანგრევთ, შპურები ვერტიკალური მიმართულებით არ გავბურღოთ იმაზე მეტად, ვიდრე მადნის ფენა მდებარეობს, რათა ბურღის წვერი ან შპური ფუჭ ქანს არ შეეხოს.

მადნის მოპოვებისას მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა მივაღწიოთ მადნის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ კვარცის ქვიშის ან ფუჭი ქანის შერევა მადანში.

მარგანეცის კარბონატული თეთრი და ჟანგეული შავი ან მოყავისფრო მადნის ამოღების რაციონალური წესის დანერგვა ჭიათურაში ახლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. საჭიროა იგი გადაწყდეს მოპოვების დიფერენცირებული წესის მტკიცედ დანერგვით, რაც გაუმჯობესებს მადნის ხარისხს და შეამცირებს ე. წ. საექსპლოატაციო დანაკარგებს.

ა. გავაშელი,

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი გეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მხარი დაუჭირეს მოსკოველთა თაოსნობას

ტირასპოლი (მოლდავეთის სსრ), 10 ნოემბერი. (საკდესი). ტირასპოლის კიროვის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა. ქარხანამ კოლმეურნეობებსა და მტს-ებს გაუგზავნა ერთნახევარჯერ მეტი შიდაწვის ძრავა, ცენტრიდანული ტუმბო, ყურძნის საწნეხი, ვიდრე შარშან. ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა საწვავის ცისტერნებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოება. საწარმომ უკვე წელს მიაღწია წარმოების იმ დონეს, რაც დასახულია 1955 წლისათვის.

გუშინ ქარხანაში გაიმართა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა მოსკოველთა თაოსნობის განხილვას. საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი დავალება შეასრულოს მომავალი წლის სექტემბერში, 90 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება 1950 წელთან შედარებით, რვა პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება წელს მიღწეულ დონესთან შედარებით.

ამ ვალდებულებათა განხორციელებისათვის ახალ რეზერვებს იყენებენ.

გულისხმიერად მოვეკიდოთ მშრომელთა მოთხოვნებს

იმ ნაკლოვანებათა დასაძლევად, რომლებიც ჯერ კიდევ არის საბჭოთა აპარატის ზოგიერთი რგოლის მუშაობაში, დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა დაწესებულებებში მშრომელთა მიღებას, საჩივრებისა და განცხადებების დროულად განხილვას. წერილები, განცხადებები, საჩივრები ქვემოდან კრიტიკას, მასების კონტროლის, სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის საბჭოთა ადამიანების ზრუნვის კონკრეტული გამოვლინებაა. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე იყო აღნიშნული, ქვემოდან კრიტიკა შეიძლება გაძლიერდეს და გაფართოვდეს მხოლოდ იმ პირობით, როცა ყველა, ვინც ჯანსაღ კრიტიკას ეწევა, დარწმუნებულია, რომ მხარდაჭერას ჰპოვებს ჩვენს ორგანიზაციებში, ხოლო მის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი ნამდვილად აღმოიფხვრება.

მასებთან კავშირის, ქვემოდან კრიტიკის ერთ-ერთ ფორმას საბჭოთა დაწესებულებებში მშრომელთა მიღება წარმოადგენს. მაგრამ ყველგან როდი აქცევენ ამას სათანადო ყურადღებას. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართველოს თავმჯდომარესთან მიღება დაწესებულია კვირაში ორჯერ, ხოლო მსურველთა რიცხვი დიდია.

მშრომელთა მიღების საქმე ცუდად არის მოწყობილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში. მინისტრთან მიღება დაწესებულია კვირაში სამჯერ 3-დან 5 საათამდე. მაგრამ იშვიათი როდია, რომ მიღება დაგვიანებით იწყება. მიღების საათების დროს მინისტრთან ხშირად შედიან სამინისტროს თანამშრომლები, ან ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც არამისაღებ საათებში შეუძლიათ ინახულონ მინისტრი.

მოუწესრიგებელია მშრომელთა მიღება ამავე სამინისტროს სამმართველოებსა და განყოფილებებში. კადრების სამმართველოს უფროსის გ. ჯაფარიძის კაბინეტთან ყოველდღიურად დიდძალი ხალხი იყრის თავს. სამმართველოს უფროსს მიღების საათები არა აქვს განსაზღვრული და ამიტომ მშრომელებს საათობით უხდებათ ლოდინი. ანალოგიურ მდგომარეობაში არიან ისინი, რომლებსაც სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსის მ. ჟორჟოლიანის ნახვა სურთ.

მშრომელი, რომელიც საბჭოთა დაწესებულებაში მიდის ხელმძღვანელ ამხანაგებთან ამა თუ იმ საკითხზე მოსალაპარაკებლად, გარანტირებული უნდა იყოს, რომ მას დადგენილ საათებში მიიღებენ და გულისყურით მოუსმენენ.

ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა ორგანოების ზოგიერთ აპარატში ხშირად არაგულისხმიერად ეკიდებიან მშრომელთა წერილებსა და საჩივრებს. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოში მოუგვარებელია მშრომელთა წერილებისა და განცხადებების აღრიცხვა. არის ასეთი შემთხვევებიც: განცხადება შემოსულია, ხოლო რა პასუხი გაეცა მას, ან სად არის ეს განცხადება, არც კი იციან. 6 ივნისს შევიდა მედიცინის მუშაკის განცხადება. იგი სამუშაოზე აღდგენას ითხოვდა. კადრების სამმართველოს მუშაკებმა ვერც განცხადება გვიჩვენეს და ვერც ის გვითხრეს, თუ რა პასუხი გაეცა განმცხადებელს. ასეთი შემთხვევები აქ ერთეული როდია.

ზოგჯერ სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები შემოსულ წერილებსა და განცხადებებს დაგვიანებით აძლევენ მსვლელობას, ან მათი რეზოლუციები ზერელეა. 10 ივნისს შესულ განცხადებაზე მინისტრის მოადგილემ ლ. გომელაურმა მხოლოდ 24 ივნისს დააწერა რეზოლუცია — მომელაპარაკეთო. ბათუმიდან შემოსულ განცხადებას, რომელშიც მშრომელი ეჭვის ქვეშ აყენებდა ერთ-ერთი სამედიცინო კომისიის მოქმედებას, მინისტრმა დ. მამამთავრიშვილმა ასეთი რეზოლუცია დაადო: გაეცანით სამედიცინო კომისიის დადგენილება. მშრომელთა საჩივრებისადმი ასეთი კაზიონური დამოკიდებულება შეუწყნარებელია.

21 მაისს სამინისტროში ზუგდიდის რაიონიდან შემოვიდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმების უსულგულო დამოკიდებულება ავადმყოფებისადმი. ამის შემდეგ დაიწყო მიმოწერა დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ სამმართველოსა და ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას შორის. ეს მიმოწერა მხოლოდ სექტემბრის ბოლოსათვის დამთავრდა.

მშრომელთა წერილებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ფაქტებია დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ სამმართველოში (სამმართველოს უფროსი ლ. გეგია.) ჭიათურის რაიონის სოფელ დარკვეთის მშრომელი საჩივრაფო დახმარებას ითხოვდა ავადმყოფი ბავშვის გადასარჩენად. დაიწყო მიმოწერა. ბოლოს ჭიათურიდან მოვიდა ცნობა, რომ ბავშვი გაუარესებული მდგომარეობით საავადმყოფოდან გაუწერიათ და ბინაზე გარდაცვლილა. ასეთი პასუხის შემდეგ სამმართველოს მუშაკებმა ქაღალდი საქმეში ჩააკერეს. აღმაშფოთებელია, მაგრამ ფაქტია.

მშრომელთა მიღებისადმი, მათი განცხადებებისა და საჩივრებისადმი უსულგულო, კაზიონური დამოკიდებულება დანაშაულს უდრის. საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების ვალია ყველა ზომა მიიღონ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

ვ. მეგუკე.

ხილის უხვი მოსავალი

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა წელს ხილის უხვი მოსავალი მოიყვანეს. ნარგავების მოვლის გუმჯობესების შედეგად სტალინირის რაიონის სოფლების ქსუისის, ორცევის, კეხვის, ერედვის, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის, ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგარის კოლმეურნეობებში ორი წელიწადია ხეხილის ბაღები ყოველწლიურად იძლევა მოსავალს. ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბაღში, რომელსაც 14 ჰექტარი უკავია, შარშან საშუალოდ ჰექტარზე 183 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ვაშლი მიიღეს. წელს ხილის მოსავალი ერედვში შარშანდელს ბევრად აჭარბებს.

მძიმედ დატვირთულა წორბისის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღი. წორბისელები ჰექტარზე 150-160 ცენტნერ ვაშლს იღებენ. თვალს ახარებს მთის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღის ასეთი უხვი მოსავალი.

1.400 ჰექტარი უკავია ბაღებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობათა ბაღებში ყველგან მიმდინარეობს ხილის კრეფა. ავტომანქანები განუწყვეტლივ ეზიდებიან ვაშლს დამამზადებელ პუნქტებში.

ვაშლი დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობებს. მაგალითად, სტალინირის რაიონის სოფელ ქსუისის კოლმეურნეობაში 1953 წელს ვაშლით მიღებულმა შემოსავალმა 3 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ხილმა დიდი შემოსავალი მისცა ზნაურის რაიონის სოფლების ავნევის, მუგუთის, ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგარისა და სხვა კოლმეურნეობებს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ვაშლის კრეფას აგვიანებენ და ნაყოფი ფუჭდება, ძირს ცვივა. ასეთ შემთხვევებს ვხვდებით სოფელ ქსუისის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობათა გამგეობებს ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საქმის დროზე დასაშთავრებლად ენერგიული დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

* * *

სურათზე: ხილის კრეფა ზნაურის რაიონის სოფელ წორბისის კოლმეურნეობის ბაღში. წინა პლანზე—კოლმეურნე დ. პლიევა.

ფოტო ვ. უბოჟენკოსი.

ახალი სეზონი ოპერისა და ბალეტის თეატრში

16 ნოემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოპერა „აბესალომ და ეთერით“ იხსნება მიმდინარე წლის სეზონი.

წელს სეზონის დაგვიანებით გახსნა გამოწვეულია იმით, რომ თეატრის სცენასა და მაყურებელთა დარბაზს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა. სამშენებლო ორგანიზაციებმა — თბილისმშენმა, სარტექნიკურ სამუშაოთა ტრესტმა, ელექტრომონტაჟის ტრესტმა მოკლე ვადაში და მაღალხარისხოვნად შეასრულეს სარემონტო სამუშაოები.

დარბაზში, რომლის რეკონსტრუქცია მოხდა არქიტექტორ გ. ლეკვეკის ხელმძღვანელობით, მთლიანად შეცვლილია აგრეთვე ავეჯი. ეს სამუშაო მეტად მოკლე ვადაში დაამთავრა მარელისის ავეჯის ფაბრიკამ. საძერწი სამუშაოები შეასრულა სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის საქართველოს განყოფილების თაბაშირის ფაბრიკის მოქანდაკეთა ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ მოქანდაკეები კ. შილაკაძე, შ. ყიფიანი, კ. ბაკურაძე, ფ. მზარეულიშვილი. მხატვრულ ფარდას თეატრისათვის ხატავს მხატვარი ს. ქობულაძე.

სცენის ხის კონსტრუქცია შეცვლილია სამსართულიანი რკინაბეტონის კონსტრუქციით. ახლად დაგებულია სცენის პლაშტეტი. დარბაზს ამშვენებს ბროლის დიდი ჭაღი. მთლიანად გადაკეთებულია გათბობის სისტემა.

თეატრის კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით ემზადება სეზონის გახსნისათვის. მიმდინარე სეზონში მაყურებელს ვაჩვენებთ ახალ დადგმებს — კომპოზიტორ ა. კერესელიძის ოპერა „ბაში-აჩუკს“, ა. ბოროდინის ოპერა „თავად იგორს“, პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „შელკუნჩიკს“, ა. შავერზაშვილის ოპერა „მარინეს“. ეს ოპერა მაყურებელს უნდა ვაჩვენოთ პირველ იანვრამდე. ოპერას დგამს რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი, დირიჟორია ზ. ხუროძე, მხატვარი — ი. ასყურავა. კაპიტალურად განახლებული იქნება კომპოზიტორ ა. ბუკიას ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრები“ და შ. მშვილიძის „ამბავი ტარიელისა“. თეატრი იმუშავებს აგრეთვე კომპოზიტორ თ. შავერზაშვილის ოპერა „ივანანაზე“ და კ. მეღვინეთ-უხუცესის „ბეკინას ქორწილებაზე“.

თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის ოპერის თეატრების თვალსაჩინო მსახიობები. თეატრისათვის ახალ მუსიკალურ ნაწარმოებთა შესაქმნელად მუშაობაში ჩაბმული არიან კომპოზიტორები ს. ცინცაძე, ო. თაქთაქიშვილი, დ. თორაძე, ი. ტუსკია, რ. გაბინჯაძე. სეზონის განმავლობაში ბევრ წამყვან პარტიას შეასრულებენ ახალგაზრდა მსახიობები.

წელს გაიმართება ბევრი სპექტაკლი თბილისის ფაბრიკა-ქარხნებისა და ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეთა განაცხადებით.

თეატრის მუშაკები გამსჭვალული არიან სურვილით — იმუშაონ რაც შეიძლება კარგად, რათა დაკმაყოფილონ ჩვენი მაყურებლის გაზრდილი მოთხოვნილებანი.

დ. მჭედლიძე,

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი.

ფელეტონი

თომაშვილის გასაღები

სცენარის დასასრული

ვიდრე სცენარს განვაგრძობდეთ, მკითხველების წინაშე ბოდიში უნდა მოვიხადოთ, რადგან ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მასში ბევრი მნიშვნელოვანი გარემოება გამორჩენილა. ასე რომ სცენარის პირველ ნაწილში საჭირო იქნება ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

უპირველეს ყოვლისა კრასნოდარის მხარის კრიმსკაიას რაიონის პროკურორის ამხ. სტულოვის კაბინეტში მომხდარი დაპირისპირების სცენაში ლიდია ვასილიევნა, რომელიც მისთვის სრულიად უცნობ მოქალაქეს ნიკოლოზ იოსების-ძე თომაშვილს დღემდე ალიმენტს იხდევინებს, წარმოდგენილ უნდა იქნას არაგულწრფელი ქალის სახით, რომელმაც კარგად იცის, ვინც არის და სადაც არის მისი ნამდვილი მეუღლე ცრუ ნიკოლოზი, მაგრამ მიკიბულ-მოკიბული განმარტებებით მართალი ნიკოლოზის პასპორტში გრძელკუდიან ორიანზე გადააქვს პროკურორის ყურადღება და შეცდომაში შეყავს იგი.

გარდა ამისა, ჩვენ გვეგონა, რომ კრასნოდარის მხარის კრიმსკაიას რაიონის პროკურორ ამხ. სტულოვსა და თბილისის ლენინის რაიონის პროკურორ ამხ. ბარამიძეს შორის უმეტესად ტერიტორიული დავა იყო იმის გარშემო, თუ რომელ მათგანს უნდა გაეპროტესტებინა საქმე. თურმე ნუ იტყვით, ამხ. ბარამიძეს საქმე დამთავრებულად ჩაუთვლია და არქივში ჩაუბარებია, რაც ჩვენ ახლახან გავიგეთ. ამ გარემოებამაც უნდა ჰპოვოს თავისი გამოხატულება ეკრანზე.

ამის შემდეგ უნდა გაეთდეს სცენა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის სამოქალაქო საქმეთა განყოფილების გამგის ამხ. დევდარიანის კაბინეტში, სადაც უდანაშაულოდ დასჯილ ნიკოლოზ თომაშვილს მხოლოდ იმით ანუგეშებენ, რომ ქაღალდის ნაგლეჯზე უწერენ გენერალური პროკურორის მისამართს. მაგრამ გაუგებარია, როგორ უნდა გადაწყვიტოს საკითხი გენერალურმა პროკურორმა, როცა საქმე არქივშია ჩაბარებული.

ყველა ეს ცვლილება და დამატება, როგორც მოგახსენეთ, შესატანია სცენარის პირველ ნაწილში.

ვიწყებთ მის მეორე ნაწილს.

* * *

26 ოქტომბერი. „კომუნისტში“ ქვეყნდება ფელეტონი (ანუ სცენარის პირველი ნაწილი).

სცენა თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურაში ფელეტონის შინაარსის გაცნობის შემდეგ. განაწყენებული პროკურორი ამხ. ბარამიძე იძლევა ფიცხელ განკარგულებას დაუყოვნებლივ გამოძახონ ნიკოლოზ თომაშვილი, მისი ცოლი, ცოლის მამიდაშვილის ქმარი ნაჭრო დალაქშვილი, თარჯიმანად და ადვოკატად რომ წაჰყვა თომაშვილს კრასნოდარში.

27 ოქტომბერი. პროკურატურაში უწყებებით ხელში ცხადდებიან ნიკოლოზი, მისი მეუღლე ეთერი და ზაჭრო. ნიკოლოზის სახეზე იგრძნობა კმაყოფილება. დარწმუნებულია, რომ საქმის გაპროტესტებას წინ აღარაფერი უდგას. იმედის გაცრუება.

— რას დადიხართ რედაქციაში, — ნიკოლოზსა და ეთერს ტუქსავენ იმისათვის, რომ რედაქციას მიმართეს საჩივრით.

— თქვენ ხომ ვერ მოგვეხმარეთ, ამბა რა გვექნა?

— მაშ წადით და გიშველოთ რედაქციამ. ჩაგვბარეთ თქვენი პასპორტი და სამხედრო ბილეთი.

— რატომ?

— ამას შემდეგ გაიგებთ.

გულზე ცეცხლმოდებული ნიკოლოზი უტოვებს თავის სატუოებს.

ერთ-ერთ გამომძიებელს ევალება ჩამოატაროს მეზობლებში ნიკოლოზ თომაშვილის სურათი. იქნებ ვინმეს წამოსცდეს, არა ჰგავსო. მეორე გამომძიებელს ევალება გამოიძახოს ნიკოლოზის ძმა მიტო, დაჰკითხოს და სურათი გადაუღოს მას ოჯახის წევრებთან ერთად.

სცენა — ჭაპანწყვეტა გაზეთში გამოქვეყნებული ფელეტონის გამაბათილებელი მასალების შესაგროვებლად. **შარჟი** — გამომძიებელს სასოებით ხელში უჭირავს ნამდვილი ნიკოლოზის სურათი და დაატარებს მეზობლებში. **დიაფრაგმა** კონტრასტისათვის — ცრუნიკოლოზის სურათი, რომელსაც არც ამხ. სტულოვი დაიჯერებს და არც ამხ. ბარამიძე, გადიდებული და ჩარჩოში ჩასმული ჰკიდია ლიდია ვასილიევნას საძინებელ ოთახში, რომელიც გასაოცრად ნათლდება.

ნიკოლოზი უპასპორტოდ დადის დღემდე.

* * *

ერთ-ერთ საწარმოში შესვენების დროს აგიტატორი თანამშრომლებს უკითხავს ფელეტონს „თომაშვილის გასაღები“. მომაღლო ტანის შავწვერულვაშიან ლამაზ ჭაბუკს სახეზე ფერმა აუარ-დაუარა. (სინდისის ქენჯნა).

„ნიკოლოზ თომაშვილს უნდა მოეხსნას ყადაღა ხელფასზე. მისი საბუთებით მოხეტიალე გარეწარი სასწრაფოდ უნდა იქნას აღმოჩენილი“ — დამთავრა ფელეტონის კითხვა აგიტატორმა.

— მე ვარ ის, უდანაშაულოდ ნუ ისჯება თომაშვილი, — წამოიძახებს შავწვერულვაშიანი ჭაბუკი.

— შენ!? (განცვიფრებული ამხანაგების სახეები).

მოქმედება გადადის საწარმოს უფროსის კაბინეტში.

მაგიდას უსხედან ხელმძღვანელი მუშაკები, მათთან ერთად არის პრესის წარმომადგენელი: კაბინეტში შემოდის კონსტანტინე ივანეს-ძე ბოჭორიშვილი.

— აბა გვიამბეთ, როგორ გახდით თქვენ ნიკოლოზ თომაშვილი? — მიმართავს მას საწარმოს ხელმძღვანელი.

მოგვყავს მისი ნაამბობი.

მოქ. კონსტანტინე ივანეს-ძე ბოჭორიშვილი ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჯაბუკანის მცხოვრებია. დაბადებულია 1919 წელს. უკანასკნელად მუშაობდა წნორის რაიკავშირის საწყობის გამგედ. 1948 წელს საწყობის მოულოდნელი რევიზიის დროს აღმოსჩენია დანაკლისი. პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მიმალულა.

ქალაქ გორის ახალ ბაღში შემთხვევით უპოვნია ნიკოლოზ თომაშვილის მიერ სამთვრალის შედეგად დაკარგული საბუთები. ამ საბუთებით ბოჭორიშვილი წასულა კემერეოვოს ოლქში ქალაქ სტალინსკში რკინიგზის მშენებლობაზე. აქ თომაშვილის გვარით დაქორწინებულა ლიდია ვასილის ასულ ხოლინზეზე, რომელთანაც შესძენია ქალიშვილი ნატაშა. კონსტანტინე ბოჭორიშვილს ორი ცოლშვილი ჰყავს. კემერეოვოს ოლქიდან ახალი ცოლ-შვილით ბოჭორიშვილი ისევ თომაშვილის გვარით საცხოვრებლად გადადის კრასნოდარის მხარეში სტანიცა კრიმსკაიაში. ლიდია ვასილიევნასთან ცხოვრობს 1951 წლის მაისამდე. უკმაყოფილებისა თუ გაბუტვის ნიადაგზე ლიდია ვასილიევნა და კონსტანტინე ერთმანეთს დროებით გაშორებენ.

კრიმსკაიას რაიონის სასამართლოს თომაშვილის გვარზე მცხოვრებ ბოჭორიშვილისათვის მოუსაჯია ნატაშას სარჩენად ალიმენტი.

1952 წლის აგვისტოში კონსტანტინე იღებს შვებულებას და თბილისის გვარით მოდის საქართველოში. აქ ბოჭორიშვილი შეიპყრეს. ის გამოტყდა რომ ჩადენილი დანაშაულის გამო იმალებოდა თომაშვილის გვარით.

1952 წლის 30 ნოემბერს ლაგოდეხის რაიონულმა სახალხო სასამართლომ მას სათანადო სასჯელი გამოუტანა.

ასეთია მოკლედ თავგადასავალი კონსტანტინე ივანეს-ძე ბოჭორიშვილისა, რომლის მაგიერ ალიმენტს იხდევინებენ ნიკოლოზ თომაშვილს.

* * *

კინოსცენარის ფინალში უნდა მივმართოთ მულტიპლიკაციას. ეკრანზე გრძელკუდიანი ორიანი და გრძელცხვირიანი ერთიანი ერთმანეთს ეჯიბრებიან ამხ. სტულოვისა და ამხ. ბარამიძის საგამომძიებლო ნიჭისა და გულსხმიერების შესაფასებლად.

გერმან შუბიძე.

„ლეგენდა სიყვარულზე“

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მიმდინარე თეატრალური სეზონის პირველ პრემიერად კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დადგა თანამედროვე მსოფლიო პროგრესული ლიტერატურის ერთ-ერთი უნიკიერესი წარმომადგენლის, გამოჩენილი თურქი რევოლუციონერი პოეტის ნაზმ ჰიქმეთის პიესა „ლეგენდა სიყვარულზე“.

უაღრესად ორიგინალური პოეტური ფორმით ამ შესანშნავ დრამატულ ნაწარმოებში ხალხთა შშვიდობისა და თავისუფლებისათვის თავდადებულად მებრძოლმა პოეტმა შთაგონებულად უმღერა ადამიანის გმირულ და თავგანწირულ ერთგულებას ხალხისადმი, თავისუფლებისმოყვარეობით განათებულ შემოქმედებითს გენიას, სამშობლოს საკეთილდღეოდ დიადი საგმირო საქმეებისათვის აღმფრთოვანებელი სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობას.

პიესა ეხმაურება და პასუხს აძლევს თანამედროვეობის სხვა უაღრესად აქტუალურ საკითხებსაც. ხალხის წიაღიდან გამოსული ოსტატის ბელზადის ბრძნული სიტყვებით იმის შესახებ, რომ მთავარია შენება და არა ნგრევა, რომ ხალხი კვლავ აღადგენს და ააშენებს, რასაც ომთა მსვლელობა აბგრევს, პიესაში გაცამტვერებულია თანამედროვე სკეპტიკოსთა ბნელი პესიმისტური ქადაგება, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი მომაკვდავი და წარმავალია და, მაშასადამე, უაზროა ბრძოლა, შენება, შემოქმედება. მსოფლიოს უბრალო ადამიანთა მილიონების სულიერი განიარაღებისა და მორალური დაძაბუნებისათვის გათვალისწინებულ ამ რეაქციულ მოძღვრებასთან ერთად პიესა კიცხავს და გმობს გონებრივი შრომის იმ „ნეიტრალურ ქურუმებსაც“, რომლებიც ცდილობენ თვალი დახუჭონ თანამედროვეობის უმძაფრესი მოვლენების წინაშე და ადამიანთა ცხოვრების უაღრესად დრამატულ მომენტებშიც გულგრილად განაგრძონ ხალხის ინტერესებისაგან გამოთიშული და განყენებული ვარსკვლავთმრიცხველობა თუ უსულგულო რუბაიების თხზვა.

თანამედროვეობის ასეთი აქტუალური პრობლემების განმასახიერებელი თავისი პიესის საფუძვლად ავტორმა აირჩია არა დღევანდელი სინამდვილის რეალური მოვლენები, არამედ ცნობილი აღმოსავლური ლეგენდა შირინისა და ფერჰადის თავგანწირული ურთიერთ ტრფიალების შესახებ, რომლის ნიადაგზე საუკუნეთა განმავლობაში ეპიკური თუ ლირიკული პოეზიის მრავალი შედევრი შექმნილა. ნაზმ ჰიქმეთმა სავსებით ახლებური ყურადღებით მისცა ამ ლეგენდას და ნათლად გვიჩვენა, თუ რამდენად მრავალფეროვანი საშუალებები მოეპოვება ჩვენი ეპოქის მოწინავე ხელოვნებას თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და საკითხებზე პასუხის გასაცემად. პიესა მძაფრად დრამატიზებულ სიუჟეტზეა აგებული, მასში ღრმა და მწვავე კონფლიქტებია გამოხატული, დიდი ადამიანური ვნებებისა და გრძნობების მძლავრი შეჯახებაა ასახული.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ნიჭიერ შემოქმედებითს კოლექტივს ძალონე და შრომა არ დაუზოგავს ამ რთული ამოცანის განხორციელებისათვის. სპექტაკლში თეატრის საუკეთესო შემოქმედებითი ძალები მონაწილეობენ. წარმოდგენაში ბევრი რამ არის მოსაწონი და მიმზიდველი. აქტიორული ოსტატობის მხრივაც, რეჟისორული ფანტაზიის და გემოვნების, დეკორაციული გაფორმების თუ მუსიკალური ილუსტრაციის მხრივ სპექტაკლი ხშირად მაყურებლის წრფელ აღტაცებას იწვევს. მაგრამ ამ ცალკეულ ფრიად თვალსაჩინო წარმატებათა მიუხედავად თეატრმა არსებითად თავი ვერ გაართვა იმ შემოქმედებითს ამოცანას, რომელიც მან ამ პიესის დადგმით იკისრა. მთლიანად სპექტაკლს აკლია ემოციური ზემოქმედების, მაყურებლის დაპყრობის, მის გრძნობათა და განცდათა სამყაროში ჩაწვდომის ის ძალა, რომელიც ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედების უპირველეს და აუცილებელ თვისებას უნდა შეადგენდეს.

სცენაზე ღრმა დრამატიზმით აღსავსე სიტუაციები ვითარდება, ერთმანეთს ეჯახება სიყვარულის გრძნობა და მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება, ადამიანები ზეიმობენ მაღალ სიყვარულს, იტანჯებიან გადაულახავ წინააღმდეგობათა გამო დასაღუპავად განწირული გრძნობების ტყვეობაში. მსახიობები ლაპარაკობენ სიყვარულზე, ეჭვიანობაზე, საგმირო საქმეებზე, თავგანწირვაზე, შემოქმედებითს შთაგონებაზე, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იწვევს მაყურებლის მღელვარე გამოძახილს, ვერ სწვდება მისი სულიერი ცხოვრების სიღრმეს. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ამა თუ იმ მსახიობის მაღალი ოსტატობით თუ სხვა მაღალმხატვრული ცალკეული სცენიური საშუალებით მოხიბლული მაყურებელთა დარბაზი აღტაცებით ეხმაურება წარმოდგენის ცალკეულ ეპიზოდებს. ერთი სიტყვით, არ არსებობს ცხოველი კონტაქტი სცენასა და მაყურებელს შორის, წარმოდგენა ვერ ახდენს მძლავრ შთაბეჭდილებას, ვერ ტოვებს ღრმა კვალს მაყურებლის ცნობიერებაში.

ეს იმიტომ, რომ თეატრმა ვერ მონახა „გასაღები“ ამ ფრიად რთული და ორიგინალური პოეტური ნაწარმოების ცოცხალი სცენიური განსახიერებისათვის. თეატრი მოექცა პიესაში მიცემული ლეგენდური პირობითობის ცდუნებაში. პასიურად დაემორჩილა ამ ცდუნებას. გაიარმავა ეს პირობითობა, და სპექტაკლმაც დაკარგა ბუნებრივი ჟღერა, მხატვრული სიმართლე.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი ვ. ტაბლაშვილი, როგორც ჩანს, უპირატესად პიესაში მოცემულმა ეფექტიანი, გარეგნულად ლამაზი და მიმზიდველი სცენიური სურათების შექმნის შესაძლებლობამ გაიტაცა. ამ მხრივ სპექტაკლში იშვიათი როდია დახვეწილი გემოვნებით და მდიდარი ფანტაზიით აღებეჭდილი მიზანსცენები, გონებამახვილურად მოფიქრებული და ოსტატურად შესრულებული ცალკეული ეპიზოდები. მაგრამ ყოველი ეს გამბარი და გაცოცხლებული ვერ არის შინაგანი აზრისა და გრძნობის ცხოველმყოფელი სიმართლით და ბუნებრივობით.

სპექტაკლის ეს საერთო ნაკლი მკაფიო გამოხატულებას პოულობს უწინარეს ყოვლისა მსახიობთა შემოქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენაში მონაწილეობენ ნიჭიერი მსახიობები, ისინი უმრავლეს შემთხვევაში ვერ გვაძლევენ ცოცხალ და მეტყველ სცენიურ სახეებს. ეს უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვის პიესის მთავარი როლების ფერხადისა და შირინის შემსრულებელ მსახიობებზე — გ. შავგულიძესა და დ. ჭიჭინაძეზე. მდიდარი სცენიური მონაცემების მქონე მსახიობი გ. შავგულიძე მომხიბლავია ზოგიერთ ცალკე ეპიზოდში, მაგრამ მთლიანად ვერ განასახიერებს აზრთა და გრძნობათა იმ დიდ სამყაროს, რაც პიესის მიხედვით ფერხადს უნდა ახასიათებდეს. ისეთ „მომგებიან“ სცენებშიც კი, როგორიც არის ფერხადის პირველი უშუალო შეხვედრა და საუბარი შირინთან, ან მათი დიდი ხნით განშორება ერთმანეთისაგან რკინის მთის ქარაფებში ან ხანგრძლივად უნახავ მამასთან შეხვედრა და დედის გარდაცვალების გაგება — ასეთ ეპიზოდებშიც კი გ. შავგულიძემ ვერ შეძლო გმირის სულიერი მღელვარების გადმოცემა. სპექტაკლის მთელი ხტალისათვის დამახასიათებელი გადაჭარბებული პირობითობა უსიცოცხლო სქემად აქცევს მსახიობის მიერ შექმნილ სახეს. გარეგნული მშვენიერება სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ დ. ჭიჭინაძეს შესაფერი სიღრმით გადმოეცა ფერხადისადმი შირინის სიყვარულის მთელი ძალა და სიღრმე, ამ კეთილშობილური გრძნობით ნაკარნახევ მოქმედებაში გამოხატული შირინის სულიერი სამყაროს თავისებური მშვენება და მომხიბლაობა. უმეტეს შემთხვევაში მსახიობი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სტატიკურ მდგომარეობაში გვევლინება და ვერ გვაგრძნობინებს იმ დიდ შინაგან მღელვარებას, რომელიც დამახასიათებელი უნდა იყოს პიესაში გამოხატული სამოჯნურო ისტორიის ამ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.



სცენა სპექტაკლიდან „ლეგენდა სიყვარულზე“ — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე (მეხმენე ბანუ) და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. შავგულიძე (ფერხადი).

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ეს ნაკლი ერევა ამ ორ ადამიანს შორის ურთიერთობის ლირიკულ ტონალობაში. ეს ნაკლი ეტყობა ამ ორ ადამიანს ერთმანეთისადმი ბავშვურ ერთგულებაზე, ერთმანეთისადმი ბავშვურ ალერსზე, ერთმანეთისადმი ბავშვურ ეჭვიანობაზე, ერთმანეთისადმი ბავშვურ ბოროტებაზე, ერთმანეთისადმი ბავშვურ ბოდიშებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დღის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების საკითხზე. დანიის, ვენესუელისა და კოსტა-რიკის წარმომადგენლებმა, რომლებიც გამოვიდნენ დისკუსიაში, განაცხადეს, რომ ხმას მისცემენ რეზოლუციის პროექტს, რომელიც შვიდმა ქვეყანამ წარადგინა.

დანიის დელეგატმა ანდერსენმა აღნიშნა, რომ რეზოლუციის ეს პროექტი არ ეხება შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემას, და განაცხადა, რომ მისი ქვეყნის მთავრობა და ხალხი მიესალმებიან ამ პრობლემის გადაჭრას. ამასთან დანიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭიჭა იმისა, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების საერთაშორისო ორგანო შეიქმნას რაც შეიძლება მალე განიარაღების საკითხის გადაჭრამდე, რადგან ამ საკითხის გადაჭრა, მისი სიტყვით, ბევრ დროს მოითხოვს.

ამავე სხდომაზე გამოვიდა გომინდანელი.

იურიდიულ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკდესი). იურიდიულმა კომიტეტმა დაამთავრა აგრესიის ცნების განსაზღვრის საკითხის განხილვა. 33 ხმით (სსრ კავშირი, საფრანგეთი და სხვები) 3-ის წინააღმდეგ (ამერიკის შეერთებული შტატები და სხვები), 14-მა თავი შეიკავა (ინგლისი და სხვები) კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შექმნას სპეციალური კომიტეტი, რამდენადაც გამომჟღავნდა იმის საჭიროება, რომ შეთანხმდეს სხვადასხვა სახელმწიფოთა შეხედულებანი, რომლებიც ამ საკითხის განხილვისას გამოითქვა. კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-11 სესიას 1956 წელს წარუდგინოს „აგრესიის“ ცნების განსაზღვრის მოხსენება და პროექტი, გაითვალისწინებს რა გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე ჩამოყალიბებულ შენიშვნებს და წამოყენებულ რეზოლუციათა პროექტებსა და შესწორებებს.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკდესი). 11 ნოემბერს დილით გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განახლდა განხილვა ისრაელის საჩივრისა იმის გამო, რომ ეგვიპტემ შეზღუდა ისრაელში მიმავალი საკაჭრო გემების გავლა სუეცის არხში (3 ნოემბერს ეს განხილვა შეწყდა ეგვიპტის წარმომადგენლის აზრის უეცარი გარდაცვალების გამო).

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ საფრანგეთის წარმომადგენელმა ოპენომ განაცხადა, რომ თუ წინაალმდეგი არავინ იქნება, იგი დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსს გაუგზავნის წერილს, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება უშიშროების საბჭოს პოზიცია; „უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა შეაჩეროს „ბატ გალიმის“ ინციდენტის შემდგომი განხილვა, სანამ არ მიიღებს დაზავების შერეული კომისიის მოხსენებას ამ ინციდენტის შესახებ. საბჭოს იმედი აქვს, რომ ამ მოხსენებას მიიღებს ნოემბრის დამლევისათვის. საბჭოს მიაჩნია, რომ დაზავების შერეული კომისიის თავმჯდომარემ უნდა დააწესოს საჩივრების განხილვის წესი და რომ „ბატ გალიმის“ ინციდენტს უპირატესობა უნდა მიეცეს უფრო ნაკლებმნიშვნელოვან საჩივრებთან შედარებით“.

საბჭომ კენჭისუყრელად მიიღო თავმჯდომარის წინადადება. ამით დამთავრდა საბჭოს სხდომა.

იაპონიის პრესა ვაშინგტონში იოსიდას მოლაპარაკების შედეგების შესახებ

შანხაი, 12 ნოემბერი. (საკდესი). როგორც კიოდო ცუსინის საააგენტო იუწყება, ტოკიოს წამყვანი გაზეთები კმაყოფილი არ არიან იაპონია-ამერიკის ერთობლივი კომუნიკეთი. გაზეთი „ასახი“ მოწინავე სტატიაში გაკვრივებას გამოთქვამს კომუნიკეს აბსტრაქციული შინაარსის გამო, აღარეს რა მას ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივ დეკლარაციას, გაზეთი წერს, რომ იაპონია-ამერიკის კომუნიკე არ იძლევა მშვიდობის განმტკიცების იმედს.

გაზეთი წერს, რომ კომუნიკეში გამოთქმული „სინანული“ ბიკინის რაიონში ა. წ. 1 მარტს წყალბადის ბომბების აფეთქების გამო უნდა ეხებოდეს მთელ იაპონელ ხალხს და არა მარტო 23 დაზარალებულ მეზღვურს.

გაზეთი „იომიური“ აღნიშნავს, რომ ეს კომუნიკე არა მარტო სუსტია, არამედ ბუნდოვანიც არის. იგი არ სახავს არავითარ გზას უმნიშვნელოვანესი პრობლემების, კერძოდ, ჩინეთთან ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის გადასაჭრელად.

იაპონიის პრესა ვაშინგტონში იოსიდას მოლაპარაკების შედეგების შესახებ

„ტოკიო სიმბუნი“ აღნიშნავს, რომ ამერიკა-იაპონიის კომუნიკემ იმედი გაუცრუა იაპონელებს, მათ შორის ლიბერალური პარტიის ლიდერებს, რომლებიც დიდ იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ პრემიერ-მინისტრის მოგზაურობა ეკონომიურ დახმარებას მოუპოვებდა იაპონიას.

ოპოზიციური ელემენტების დასჯა ირანში

თეირანი, 13 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დადი“ იუწყება, პირველი ინსტანციის სამხედრო სასამართლომ 11 ნოემბერს განაჩენი გამოუტანა ოფიცერთა მერვე ჯგუფს, რომლებსაც ბრალდებოდათ ოპოზიციური საქმიანობა. ოთხ კაცს სიკვდილი მიუსაჯეს, ერთს — სამუდამო პატიმრობა და სხვებს — პატიმრობა სხვადასხვა ვადით — 15-დან 3 წლამდე.

..სტალინგრადი, კოვენტრი და ვარშავა“

გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს“ სტატია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ქალაქების კოვენტრისა და სტალინგრადის ერთობლივი მიმართვის შესახებ

ვარშავა, 11 ნოემბერი. (საკდესი). პოლონეთის პრესა კომენტარს უკეთებს ქალაქების კოვენტრისა და სტალინგრადის ერთობლივ მიმართვას, რომელიც გაეგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და რომელიც შეიცავს მოწოდებას — აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება და გამოყენება და მთლიანად ამოღებულ იქნას იგი შეიარაღებიდან. გაზეთმა „ტრიბუნა ლიუდუმ“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „სტალინგრადი, კოვენტრი და ვარშავა“, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ორი ქალაქის ერთობლივ მიმართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა გაძლიერდეს ხალხთა ბრძოლა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის.

რა ბევრს ცდილობენ, წერს გაზეთი, სხვადასხვა პოლიტიკოსები, დაავიწყონ ხალხებს ამასწინანდელი ისტორიის გაკვეთილები, დაავიწყონ გერმანიის მილიტარიზმის აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გამოცდილება და მიაძინონ ხალხთა სიფხიზლე იმ პოლიტიკის მიმართ, რომელსაც მოსდევს ახალი ომის საფრთხე. მაგრამ ამ ცდებს წარმატება არა აქვს. ამის დადასტურებაა ორი ქალაქის ერთობლივი მიმართვა, რასაც ხელი მოაწერეს ადამიანებმა, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური შეხედულებებისა არიან, მაგრამ რომლებსაც ერთიანებს ურყევი მისწრაფება — თავიდან აიცილონ ახალი ომის საფრთხე.

ეს მიმართვა გამოხატავს არა მარტო ამ ორი ქალაქის მეხოვრობთა და არა მარტო საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მილიონობით მცხოვრებთა მისწრაფებას, მათს ხმას უერთდება ვარშავაც, რომელიც ბარბაროსულად დაანგრიეს, ხოლო ამჟამად ახალი პოლონეთის მშვენიერი დედაქალაქი ხდება. ეს ყველა პოლონელის ხმაა. ამ მიმართვას ხელს მოაწერს ყველა ხალხი, რომლებმაც შეიგნეს ომის საშინელებანი და რომლებმაც ფიცი დადეს, რომ არ დაუშვებენ ამ საშინელებათა გამეორებას.

სსრ კავშირიდან გაემგზავრა ქალაქ კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს დელეგაცია

10 ნოემბერს სტალინგრადიდან მოსკოვს ჩავიდა ქალაქ კოვენტრის (ინგლისი) მუნიციპალური საბჭოს დელეგაცია, რომელსაც კოვენტრის ლორდ-მერი ჯ. ფენელი მეთაურობს.

სტალინგრადში დელეგაციის წევრებმა და სტალინგრადის საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა შეიმუშავეს და ხელი მოაწერეს ორი ქალაქის ერთობლივ მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი. მიმართვა შეიცავს მოწოდებას — აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება.

მოსკოვში ყოფნის დროს ქალაქ კოვენტრის დელეგაციის წევრები იყვნენ ლენინისა და სტალინის მაგზოლეუმში, დაათვალიერეს კრემლის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნენ საბჭოთა კავშირის დედაქალაქს.

11 ნოემბერს საღამოს დელეგაცია მიიღო მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა.

12 ნოემბერს ქალაქ კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს დელეგაცია ინგლისს გაფრინდა. ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ა. მალინინმა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

საერთაშორისო მიმოხილვა

საბჭოთა საშვიდობო პოლიტიკის დიადი ძალა

დედამიწაზე არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც მშრომელებს არ აღენიშნოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი. არქტიკულ ისლანდიასა და სამხრეთ აფრიკის კავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და საფრანგეთში, არგენტინასა და ინდოეთში — ყველგან, სადაც შრომის ადამიანები ცხოვრობენ, ისინი ადდებდნენ მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს არსებობის წლისთავს. ამასთან ყველგან განსაკუთრებული ძალით აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ხალხთა შორის მშვიდობის მედროშე და ბურჯია.

საბჭოთა საშვიდობო პოლიტიკა დიდი ძალა გახდა. იგი ჩვენი საშშობლოს გარშემო აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებსა და ხალხებს, რომლებიც ისწრაფვიან არ დაუშვან ახალი ომების წარმოშობა. აღნიშნავდნენ რა ოქტომბრის რევოლუციის 37-ე წლისთავს, ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ადამიანები განსაკუთრებული კმაყოფილებით მიესალმებოდნენ იმის ახალ დადასტურებას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განაგრძოს თავისი თანმიმდევრული საშვიდობო პოლიტიკა, დადასტურებას, რაც გაისმა მ. ზ. საბუროვის მოხსენებაში მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

„მოსკოვი ხაზგასმით აღნიშნავს მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას“, — წერს ფრანგული გაზეთი „ეურნალ დიუ დიმანში“ და დასძენს: „ძირითად თემას, რომელიც ორატორმა (მ. ზ. საბუროვმა) განავითარა, შეიძლება გავუკეთოთ ასეთი რეზიუმე: „საბჭოთა კავშირი აბორიგენებს პოლიტიკას საერთაშორისო მშვიდობის სასარგებლოდ და თავის ქვეყანაში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად“. ინგლისური გაზეთი „სანდი ტაიმსი“ განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ მ. ზ. საბუროვის მოხსენებაში აღნიშნულია ის პოლიტიკის უეცვლელობა, რომელსაც აბორიგენებს საბჭოთა კავშირი და რომელიც ემყარება ლენინურ თეზისს სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ. არ შეეძლო არ აღენიშნა საბჭოთა მოწოდება მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების შესახებ ამერიკის ზოგიერთ გაზეთსაც; მაგალითად, „კრისჩენს საიენს მონიტორი“ სარედაქციო სტატიაში წერს: ოქტომბრის რევოლუციის 37-ე წლისთავი საბჭოთა კავშირში აღინიშნა იმით, რომ „საბჭოთა ხელმძღვანელებმა ისარგებლეს ამ დღესასწაულით, რომ დამამშვიდებელი სიტყვებით მიმართთ შეშფოთებით შეპყრობილი სამყაროსათვის“.

რა თქმა უნდა, პრესის ბევრმა ორგანომ კაპიტალისტურ ქვეყნებში არ დააყოვნა დამამხინჯებინა საბჭოთა მშვიდობისმოყვარული განცხადებანი, რომლებსაც შეიცავს მ. ზ. საბუროვის მოხსენება, ანდა მიეჩქმალა ისინი. მაგალითად, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის ძირითადმა ბურჟუაზიულმა გაზეთებმა არ გამოაქვეყნეს მოხსენების ის ადგილი, რომელიც ამბილებს დასავლეთის პოლიტიკოსების ყალბ თეზისს იმის შესახებ, „თითქოს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ გაუმჯობესდება გერმანიის საკითხში ოთხი სახელმწიფოს შეთანხმების მიღწევის შანსები“. მაგრამ ამგვარი დამახინჯებანი მხოლოდ იმას მოწმობენ, რომ დასავლეთის აგრესიულ წრეებს ამინებს მართალი და მშვიდობისმოყვარული საბჭოთა სიტყვა.

სამაგიეროდ კეთილი ნების ადამიანებს ყველა ქვეყანაში ეს სიტყვა უღრეკებს უდიდესი სიხარულის გრძნობას და აღაფრთოვანებს მათ ომისათვის, რომ გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობის დასაცავად. „მშვიდობის ძალთა ახლანდელ ბრძოლაში აგრესიის ძალთა წინააღმდეგ,—ხაზგასმით აღნიშნავს ჩინეთის გაზეთი „ენენმინეიბაო“, — პოზიცია, რომელიც უკავიათ საბჭოთა კავშირის მეთაურობით მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებს, იზიდავს და რაზმავს ხალხის სულ უფრო ფართო მასებს. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა შეესაბამება მათს ძირითად ინტერესებს“. ამის შეგნება უნერგავს ხალხებს სულ უფრო მეტ ნდობასა და სიყვარულს საბჭოთა კავშირისადმი.

— ხალხთა მზარდ ნდობას საბჭოთა კავშირისადმი, — აღნიშნა გენუის მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური. მდივნის მოადგილემ ლუიჯი ლონგომ, — ქმნის დაუცხრომელი ბრძოლა მშვიდობისათვის, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა მთავრობა, მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკა, რომელიც კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ყველა საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისაკენ მიმართულ მტკიცე და მუდმივ ღონისძიებებში.

ლონგოს განცხადება შეესაბამება შრომის ყველა ადამიანის აზრებსა და გრძნობებს, ადამიანებისა, რომელთათვის მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება მთავარი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის არჩევნების შემდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 2 ნოემბრის არჩევნებმა ცხადყო, რომ ამერიკის მმართველი წრეების აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს, მხარს არ უჭერენ ხალხთა მასები. დამარცხება, რომელიც განიცადა მთავრობის რესპუბლიკურმა პარტიამ არჩევნებში, პირდაპირი შედეგია იმისა, რომ ამერიკელი ხალხი უკმაყოფილოა საომარი მზადებისა და დემოკრატიის ელემენტარული პრინციპების დარღვევის იმ პოლიტიკით, რომელსაც ამერიკა ახორციელებს. ამას ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთიც კი აღნიშნავს. მაგალითად, ვაშინგტონის გაზეთი „სტარი“ იმ დასკვნამდე მიდის, რომ კონგრესის 1954 წლის არჩევნების შედეგები ადასტურებს „პოლიტიკურ უმცაფილებას ეროვნული მასშტაბით“.

ამერიკელი ხალხის უმრავლესობა მმართველი წრეების პოლიტიკის რომ არ იწონებს, ამას არ შეიძლებოდა ერთგვარი გაკვნა არ მოეხდინა მათი წარმომადგენლების არჩევნებისშემდგომ გამოსვლებზე, მით უმეტეს, რომ 1956 წელს, როგორც ცნობილია, უნდა მოხდეს პრეზიდენტის არჩევნები, ხოლო ამ არჩევნებისათვის თანდათან მზადება უკვე ახლაც მიმდინარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. კონგრესის ნოემბრის არჩევნებმა და მისმა შედეგებმა, როგორც აღნიშნა ამერიკის ჟურნალმა „ფენაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“, აიძულა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ბევრი წარმომადგენელი და უწინარეს ყოვლისა მთავრობის რესპუბლიკური პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლების ერთი ნაწილი „ყურადღება მიექციათ მშვიდობის თემისათვის“. უკანასკნელმა კვირამ ეს ბევრი რამით დაადასტურა. მაგალითად, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამერიკის 83-ე მოწვევის კონგრესის წარმომადგენლთა პალატის თავმჯდომარემ რესპუბლიკელმა მარტინმა ამ დღეებში გააკეთა საჯაარო განცხადება, ახალი ომები სასურველი არ არისო.

ამგვარი გამოსვლები ნაკარნახევია იმით, რომ ითვალისწინებენ ამერიკელი ხალხის უმრავლესობის გაწყენობლებებსა და მოთხოვნებს. მაგრამ ეს გამოსვლები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან რეალურ ფაქტებს, რომლებიც ამერიკის საგარეო პოლიტიკას ახასიათებს, და მიზნად ისახავენ ხალხთა მასების სიფხიზლის მიძინებას.

ნოემბრის დამდეგს ამერიკის პრესის მთელმა რიგმა ორგანოებმა დაბეჭდეს მტკიცებანი იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა ხელისუფლებამ აზრი გამოთქვეს ჩინეთზე ამერიკის ავიაციის საჰაერო თავდასხმების წინააღმდეგ. ამასთან ცნობილია, რომ 7 და 8 ნოემბერს ამერიკის 50 საბჭოდრო თვითმფრინავი ექვს ჯგუფად შეეჭრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური მოდვაწეები განცხადებენ აკეთებენ, რომ არა სურთ ახალი მსოფლიო ომები. ამავე დროს ამერიკის პოლიტიკა დასავლეთ ევროპაში აგებულია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების გეგმების საფუძველზე, რაც ქმნის ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს. ასეთივე საფრთხე მოსდევს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის ამერიკულ პოლიტიკას.

რეალური ფაქტები მოწმობენ, რომ მიუხედავად ამერიკელ მოღვაწეთა სიტყვიერი განცხადებებისა, ამერიკის საგარეო პოლიტიკის აგრესიულობა სულაც არ შემცირებულა, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში კიდევაც ძლიერდება. ეს, სხვათაშორის საკმაოდ აშკარად აღიარა სენატში ამერიკელ რესპუბლიკელთა ლიდერმა ნოულენდმა. რამდენიმე დღის წინათ მაიამში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ძალის პოზიციის პოლიტიკას“ ახორციელებენ, და ავრცელებდა ანტისაბჭოთა ცილისწამებას. ნოულენდის გამოსვლამ კვლავ მოგვაგონა, რომ ამერიკის რეაქციის მტრული ზრახვები აქვს მშვიდობის მიმართ, არა სურს ხელი აიღოს ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტურ მონოპოლიათა მსოფლიო ბატონობის დამყარების უგუნურ გეგმებზე.

ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“, რომელიც არჩევს პოლიტიკურ ვითარებას ამერიკის შეერთებულ შტატებში კონგრესის ნოემბრის არჩევნების შემდეგ, ხაზგასმით აღნიშნავს: იმის ფიქრი, რომ ეს არჩევნები „ახალი ხანის დასაწყისია... ნიშნავს მივეცეთ საშიშ ილუზიებს“. „ტაიმსის“ შენიშვნა დამახასიათებელია იმით, რომ მოწმობს, რამდენად ფიზიკურად ეკიდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების ბურჟუაზიული საზოგადოებრიობა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების არჩევნებისშემდგომ მანევრებს. არ არის საფუძველი ექვი შეეტანოთ, რომ ეს გამოსვლები ამერიკელი ხალხის პროგრესულ ძალებსაც ვერ შეიყვანენ შეცდომაში.

ჯ. რისაკოვი.

სპორტის ამბები

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბელგრადში

ბელგრადი, 12 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ბელგრადის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა უკანასკნელი წინა — მე-18 ტური. პეტროსიან-ტრიფუნოვიჩის, ივკოვ-ბრონშტეინის, რაბარ-გლეგორიჩის, ვეიდეჯერაშვილის, ნედელკოვიჩ-პირცის, ნიეერგელტ-პოპოვას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ვერმანელმა ოსტატმა ოიფენმა წააგო მატანოვიჩთან, პილნიკმა—ბარცასთან, ივანშევიჩმა — მილიჩთან. კარაკლაიჩ-ჩერნიაკის პარტია გადაიდო. იუგოსლავ ოსტატს მოსაგები მდგომარეობა აქვს.

უკანასკნელი ტურის წინ მონაწილეთა მდგომარეობა ტურნირის ცხრილში ასეთია: ბრონშტეინს აქვს 13 ქულა, მატანოვიჩს — 12,5, ტრიფუნოვიჩსა და პეტროსიანს — 11,5, პილნიკს, ივკოვს და ბარცას — 10,5, გლეგორიჩს — 10, ჯურაშევიჩს — 9,5, ნედელკოვიჩსა და მილიჩს — 9, კარაკლაიჩსა და ჩერნიაკს — 8, პირცს — 8, ივანშევიჩს, ოიფენსა და რაბარს — 7,5, პოპოვას — 6, ვეიდს — 5, ნიეერგელტს — 4 ქულა.

ბელგრადი, 12 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ბელგრადის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა მე-17 ტურის დაუმთავრებელი პარტიები. პილნიკ-ვეიდის პარტია ყაიმით დამთავრდა, ჯურაშევიჩი თამაშის განუახლებლად დანებდა კარაკლაიჩს.

ლონდონის ლორდ-მერმა დარბაზობა გამართა საბჭოთა ფეხბურთელების პატივსაცემად

ლონდონი, 12 ნოემბერი. (საკდესი). 11 ნოემბერს ლონდონის ლორდ-მერმა ჰოვარდმა დარბაზობა გამართა სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ ლონდონში მყოფ ფეხბურთელთა გუნდის პატივსაცემად.

ჰოვარდმა თავის სიტყვაში თქვა, რომ მოხარულია მიესალმოს საბჭოთა სპორტსმენებს. მან განაცხადა: „ჩვენ ვიფასებთ თქვენს სპორტულ ოსტატობას და დიდ პატივად მიგვაჩნია თქვენთან შეხვედრა“. ჰოვარდმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები მომავალ წელს კვლავ ეწვევიან ინგლისს.

საბჭოთა ფეხბურთელები შვეიცარიაში

ციურიხი, 12 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ციურიხის „ჰარტტრმის“ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა და შვეიცარიელი ფეხბურთელების პირველი შეხვედრა. „დინამოს“ გუნდი თამაშობდა შვეიცარიის ნაკრები გუნდის წინააღმდეგ, რომელშიც შედიოდნენ შვეიცარიის ორი უძლიერესი გუნდის „გრასსჰოპერისისა“ და „ლოზან-სპორტის“ საუკეთესო ფეხბურთელები. საბჭოთა ფეხბურთელებმა სწრაფი ტემპი განაკითარეს და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4 : 0.

საბჭოთა ფეხბურთელების შემდეგი თამაში გაიმართება 14 ნოემბერს ლოზანაში.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით, 15 და 16 ნოემბერს საქართველოში მოსალოდნელია მეცარელურნალი და მშრალი ამინდი. აღმოსავლეთის სუსტი, რიონის ხეობაში ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაწლოს რაიონებში ღამით 2-7, დღისით 16-21 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 9-14 გრადუსი სითბო.

ერეკლეანელ-ბაგრატიონ-ტბელ-ჩოლოყაშვილთა ოჯახის ბანკეტი

ეროვნული ფერადოვნებანი

რესპუბლიკური ჩემპიონატი სპორტულ-ტანვარჯიშში

დამთავრდა საქართველოს 1954 წლის პირადგუნდური პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში.

ჩემპიონატში ძლიერი კოლექტივი გამოიყვანა სასპორტო საზოგადოება „ნაუკამ“, რომელმაც I ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის „მედიკი“, მესამეზე — ქ. ქუთაისის ტანმოვარჯიშეთა გუნდი. მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის სპორტსმენებმა.

ოსტატ ვაჟთა ასპარეზობა აღინიშნა ს. ჯაიანის (თბილისი, „მედიკი“) წარმატებით. მან 111,15 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ა. გრინშტეინი (თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლი). შ. ჩაჩხიანმა (ქუთაისი) მესამე ადგილი დაიკავა.

ოსტატ ქალთა შორის გაიმარჯვა ე. სოკოლოვამ (ქუთაისი, 101,10 ქულა). მეორე ადგილზეა ლ. გელუკაშვილი (თბილისი, „ნაუკა“), მესამეზე — ი. მებუკე (თბილისი, „ნაუკა“).

პირველთანრიგოსან ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ჩ. ძებისაშვილმა (თბილისი, „მედიკი“), ქალთა შორის — ლ. დოლეენკომ (აჭარა); მეორე თანრიგოსანთა შორის გაიმარჯვეს ე. ცხომელიძემ (აჭარა) და თ. ინწკირველმა (თბილისი, „მედიკი“).

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისადმი მიძღვნილი საღამო

საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება აწყობს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისადმი მიძღვნილ საღამოს. საღამო გაიმართება 15 ნოემბერს გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში. პროფესორი დ. ენგელიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა“. შემდეგ გაიმართება კონცერტი.

(საკდესი).

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებაში

14 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ამირკადგაკადსის რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პიონერიის სახლში გაიმართება საზოგადოების ნამდვილი წევრის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. გომელაურის საჯარო ლექცია თემაზე: „ატომური ელექტროსადგურები“.

15 ნოემბერს, საღამოს 8 საათსა და 30 წ. აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) შედგება საზოგადოების ნამდვილი წევრის დოცენტ ი. ბაჯაძის საჯარო ლექცია თემაზე: „ვ. ი. ლენინის მიერ სოციალიზმისა და კომუნიზმის ძირითადი პრობლემების შემუშავება“.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

16 ნოემბერს

სეზონის გახსნა

ზ. ფალიაშვილი —

აბესალომ და ეთერი

17 ნოემბერს

ა. ბალანჩივაძე —

მთების გული

სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲘᲠᲙᲘ

ᲓᲦᲔᲡ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲒᲝᲨᲐᲗᲐ

საცირკო ჯგუფი

„ᲣᲧᲠᲐᲓᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ“

სამხატვრო ხელმძღვანელი

ი. დ. ბრესლერი

და

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲪᲘᲠᲙᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

3 განყოფილებად

კვირას, 14 ნოემბერს, 2 საბავშვო წარმოდგენა — დღის 12 საათზე და 3 საათზე. საღამოს წარმოდგენის დასაწყისი 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება საცირკოს სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის — ახალგაზრდა მაყურებელი (დილას), დონ სეზარ დე ბაზანი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ცოცხალი პორტრეტი (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ერთი სიყვარულის ისტორია (დილას), ნურას უკაცრავად (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ბრწყინვალე მომავალი (დილას), არშინ მალ-ალან (საღამოს), **სომხური დრამის** — დანგრეული კერა (დილა-საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა (აბონემენტი № 29, 11 ს.), კრაზანა (აბონემენტი № 43, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მეცხრე „ა“ კლასში (10 ს. და 4 ს.), **თოჯინების ქართული** — მშვიდობის ფრთებზე (12 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), ისანი (საზამთრო), პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — „ბოგატირი“ მიდის მარტოში, **თბილისი, სპარტაკი** — ავარა (I და II სერია), **კოლხიდა (საზაფხულო)** — პირველი ხელთათმანი, **ისანი (საზაფხულო)** — ცირკი, **26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), კოლხიდა (საზამთრო)** — ბატარა მუკის ისტორია, **დიდუბე (საზაფხულო), ოფიცერთა სახლი** — ბაღდადელი ქურდი, **კოლმეურნე** — ავარა (I სერია), **კიროვის სახელობის პარკი** — ავარა (II სერია), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის პარკი** — საღღესასწაულო საღამო, **კომუნარების ბაღი** — გრიგალი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲘᲠᲙᲘ

ᲓᲦᲔᲡ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲒᲝᲨᲐᲗᲐ

საცირკო ჯგუფი

„ᲣᲧᲠᲐᲓᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ“

სამხატვრო ხელმძღვანელი